



# არსენალი

საქართველო  
გარემოსდაცვითი  
პროგრამის  
ქვეყნული  
ცენტრი

1425  
2012

№24 (171) 23 ნოემბერი - 6 დეკემბერი, 2012 წ. საგზაო-ანალიტიკური ჟურნალი ფასი 2 ლარი

**„საკაბეტო ომი“  
იწყება**

**500-მდე სამხედრო  
თავდასვის ყოფილ  
მადლინოსებს უჩივიან...**

**თავდასვის ახალი  
მინისტრის გეგმები**

**იჩნდის უზღვევინაობა  
ქართულ სემსაგმსუკრებში**

**როგორ  
იარაღდებიან  
სამხრეთ  
კავკასიის  
ქვეყნები...**

**მარნეულიდან  
განსოკნიელებული  
საჯარო ტარანი**





ჯარისკაცების  
სევა ღიღი  
ღანაშაული  
არ არის?!

7



სამხედრო  
პიიში,  
როგელიც წინა  
საზღვა დარჩა...

20



სამხედრო პიიში

44

საზღვაო  
უპილოტოები




25



ფრანგული  
საეცხილური  
ოპერაციების  
ქვედანაყოფი

37

ფუგლარი პისმოლევისთვის



54



# სარჩევი

- 4 **სამხედრო სისხლეები** **კალიფორნია**
- 7 **ჯარისკაცების სხვა დიდი დანაშაული არ არის?** **პასუხისმგებლობა**
- 8 **„სარაქაბო ომი“ ისრაელში** **დაპირისპირება**
- 9 **თავდასუნი ახალი მიწისპირის გზებზე** **ინგოერინგ**
- 12 **ორხელისუფლებანიშობა საპარტიული სპეცსამსახურებში** **სპეცსამსახურები**
- 16 **500-მდე სამხედრო თავდასუნი ყოფილ გენერალისთვის უჩივს...** **პროკურატრა**
- 18 **კავკასიური მოვლენების მიმოხილვა** **რეგიონი**
- 20 **სამხედრო პირობა, რომელიც ნიდა ხაზზე დარჩა...** **ჯარისკაცის ბაი**
- 22 **როგორ იარაღიანებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს...** **თავდასუნი გეოგრაფია**
- 25 **საზღაპო უპირობებები** **ინოვაციური ტექნოლოგიები**
- 30 **500 ფაქტი გამოვლენის ისტორიული** **პირობები**
- 34 **კატარები 1992-93 წლების უზუხუხის ომში** **ფლოტი**
- 37 **საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფი COS-ი** **სადაცნაყოფები**
- 40 **ჩარლზ (მარლ) სმიტარბი** **100 დიდი მხედართმთავარი**
- 42 **სამხედრო ხელისუფლების უზუხუხი და უზუხუხი პირობები** **დასუნი თავი**
- 44 **სამხედრო პირობები** **ორი სმიტის მხედართმთავარი**
- 47 **ქვეყნის გირთვული რაქების გზებით საპარტიული უზუხუხი** **სამხედრო ისტორიები**
- 48 **გარეულიდან გარეულიდან საპარტი ტარბი** **სამხედრო ისტორიები**
- 54 **ფრანკური პირობებისთვის** **იარაღის ბაი**

**ბარაკაზი:** ისრაელის რაქების ნადაგდობა თავდასუნი სისხლეა IRON DOME

## რედაქციისგან

სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებული ოპერაციების უკონტროლო თვალთვლი და მოსმენების გახული კვირის მორიგი სკანდალი გახდა მას შემდეგ, რაც ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა.

შსს-ს მაღალჩინოსნების წაწილს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საინტერესო კი ის არის, რომ მნიშვნელოვან და მოსმენის სისტემა სამხედრო ბაზებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების სამუდამო ფიქციური თვალთვლის მინისტრ ბაი ახალაბას ქმნიდა მოწოდებით, რომელიც ორდინაციით უფრო უფრო უფრო, თუ სად რა ხდება, მოგვანებთ ამ სისტემით მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე, საერთაშორისო სამხედრო მოსამსახურეთა რამდენიმე ვიდეო თვალთვლის სამინისტროს მამინდობა ხელმძღვანელობა ამ სასახლეზე, დამსჯელი ღონისძიებები მოუქვს.

მთავარი რედაქტორი  
**ირაკლი ალდაშვილი**  
პასუხისმგებელი რედაქტორი  
**თემურ ჩანაძიძე**  
კომპიუტერული უზუხუხელოფა  
დათო მონაშვილი

**ქორდაცობა!**  
გამოიფრამი „არსენალი“  
და მიიღეთ შიგ,  
ორ კვირაში მრთხმე!  
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაპირისპირება  
განსაღების გადაგამფრამ  
პარკალულია

გადაცემულია დასაგამფრამ  
19.11.2012

გაზეთი „კვირის პალიტრის“  
დაგამფრამი ©  
რედაქციის მისაგამრთი:  
თბილისი, იოსების ქ. N49  
ტელ: 238-83-07 (121)

სარედაქციო განყოფილება:  
ტელ: 237-78-07; 238-78-70  
email: arsenal@kvispalitra.com  
ქორდაცობი გამოდის  
ორ კვირაში მრთხმე  
პარკალულია

# ჩინელემა ჩემოდნულად გზიკა დროში შეჰქონილი სვალს-გაენადგურებელი აპარატები



ახალი ჩინური გამანადგურებლის, J-31-ის პროტოტიპმა პირველი ფრენა შეასრულა, რაც სულ 10 წუთს გაგრძელდა და წარმატებული დაშვებით დაგვირგვინდა.

J-31 მეორე ჩინური სტელს-გამანადგურებელია და ის რეკორდულ დროში — 19 თვეში შეიქმნა. ახელი ავიაკონსტრუქტორები არც ამჯერად მოერიდნენ ამერიკელ კონსტრუქტორთა მიღწევების ვადადგებას, რომელიც მჭიდრო თაობის ამერიკულ გამანადგურებელ F-22-სა და F-35-ზეა გამოცდილი.

ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ J-31-ის კონსტრუქციის ბევრი დეტალი მთლიანად იმეორებს ამერიკული გამანადგურებლების ანალოგიურ ნაწილებს, რაც სხვაგვარად უნდა იქნებოდა მშვერავების წარმატებაზეც მეტყველებს, თორღ ახალი ორადგილიანი ჩინური გამანადგურებელი, რომელსაც დაბალი ფასიც აქვს, მერხად იღებულ F-35-ებს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას ვერ გაუწევს.

# ამერიკელს HMWV-ის გამოლოგა და მისი ეიკაიის დასულოგა ანარ აკაყოფილავს

აშშ-ის არმიის სარდლობამ ჯგუშმანქანა HMWV-ის მოდერნიზებაზე ტენდერი გამოაცხადა. კონკურსში ყურადღება მანქანის გამძლეობასა და ეკიპაჟის დაცულობაზე ვაძახეოდება.

პროექტის სახელწოდებაა MECV-S და მის ფარგლებში ჩატარებულ საცდელ-კონსტრუქტორულ სამუშაოში სამხედროები 48 მლნ დოლარზე მეტს დახარჯავენ.

როგორც აშშ-ის არმიის ტექნოსახსურების განყოფილებაში აცხადებენ, MECV-S მხოლოდ პირველი პროექტია სერიიდან, რომელიც ჯგუშმანქანის მთლიან მოდერნიზაციას ითვლისწინებს. HMWV-ის სხვა მახასიათებლების გაუმჯობესებაზე ტენდერები კი მოგვიანებით გაიმართება.

სხვათა შორის, ამერიკელები 60 ათასი ჯგუშმანქანა HMWV-ის მოდერნიზაციისთვის თითო ავტომობილზე 180 ათასი დოლარის დახარჯვას 2011 წელსაც გვემეოდნენ, თუმცა, მაშინ ამას ხელი სამხედრო ხარჯების შემცირებაზე აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებამ შეუშალა.



# ამერიკელ ნავსარბელებს კომპიუტერული თავაზი შეჰგზავნი მონაწილეოგა არ ანაგვის

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების შვიდ სპეცრაზმელს („სღვის ლომები“ — SEALs) მეთაურობამ კომპანია Electronic Arts-ისთან თანამშრომლობა არ აპატი და შეკერდაც დასაჯა. ამავე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს კომპანია ცულს არაფერს სწადის, — კომპიუტერულ თამაშებს წერს. რაც შეეხება სპეცრაზმელებს, რომელთაც ერთ-ერთს ოსამა ბინ ლადენის ლიკვადციის ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, მათ თამამ Medal of Honor: Warfighter-ის შემქმნელებს დახმარება გაუწიეს და ამისთვის ხელმძღვანელობის გულისწერომა დაიმსახურეს. სპეცრაზმელებს სავედური არ აკმარეს და ორი თვის ხელფასებიც გაუნახვერეს. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სპეცრაზმის მეთაურის, კონტრადმირალ გარი ბონიელის თქმით, სასჯელი კარგი გაკეთილი უნდა გახდეს სხვა მონაშ-სახურებისთვის, თუ ისინი სხვაგან მუშაობას მოინდომებენ. ჯერჯერობით, უცნობია, შესულია თუ არა თამაშში რომელიმე ეპიზოდს სპეცრაზმელთა ბიოგრაფიიდან, თუ მათი დახმარება კომპიუტერული თამაშის რეჟისორებისთვის მხოლოდ ტექნიკური კონსულტაციით შემოიფარგლებოდა.



# აქივანიზაცია კალათბურთი სულ სხვაა



კიდევ რაში შეიძლება გამოიყენო ავიამზიდი, გარდა სამხედრო საქმისა? მაგალითად, კალათბურთის სათამაშოდ.

დახს, შუა ნოემბერში სამხრეთ კაროლინის შტატის სანაპიროსთან აშშ-ის სამხედრო-სახლავო ძალების ავიამზიდ „იორკთაუნზე“ საკალათბურთო მატჩი გაიმართა. სტუდენტები ბიჭებისა და გოგონე-

ბის გუნდებმა ავიამზიდის გემბანი საკალათბურთო მოედნად აქციეს და ზედ მატჩების სერია გამართეს. შეჯიბრების ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ასპარეზად ავიამზიდის არეჯის მიხანი სამხედრო-სახლავო ძალების მოსამსახურეებთანმდე მძლეობების გრძნობის გამოხატვა იყო.

# „ზღვის ლოგები“ კალიფორნიის სანაპიროზე ზოგბაგონ შემოგვას იზარიგბენ

ახლანან აშშ-ის სამხედრო-სახლავო ძალების ელიტურ ქვე-დანაყოფს, „ზღვის ლომებს“ უწყვე-ული ამოცანის შესრულება მოუხ-

და, — კალიფორნიის სანაპიროზე სპეცრაზმელების ზომბების არმიის მოგერიება დაეკალიათ.

ამერიკელმა სამხედროებმა ამ ტიპის წერინის ჩატარება ჯან-დაცივის ეროვნული პროგრამის შესაბამისად გადაწყვიტეს, — მე-დიკოსი ჩინონიკები ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ შიშობდნენ ზომბების შემოტყვის მაღალი აღ-ბათობის გამო.

ინსტრუირებული ღონისძიება კონ-ტრტერიისტული სამიტის ფარ-გლებში წარიმართა. სწავლების სცენარის დეტალები არ განხაუ-რებულა, თუმცა, სურათი ნათელია: აშშ-ის ტერიტორიაზე ზომბები შე-იჭრებიან და სამხედრო-სახლავო ფლოტის საეცრაზმის ამოცანა მი-სი მოგერიება და მშეიდობიანი მო-სახლეობის დაცვაა.

სწავლებაში 1000 სამხედრო მოსამსახურის გარდა, პოლიცია, მასველები, მტხანძრეები და ექიმე-ბიც მონაწილეობენ.

## უიარაღო სირიის დანგრევა Reuters-ის უოგოროგიაგვივი

სამოქალაქო ომით გაპარტახებულ სირი-აში სამთაფრობო ჯარებსა და აჯანყებულებს შორის დაუნდობელი ბრძოლაა განაღებული. ეს უკანასკნელი მთელ მსოფლიოს ამცნობენ ხელისუფლების სისხლიანი რეჟიმის საში-ნელებებზე, თუმცა, როგორც ჩანს, თავდაც არანაკლებს სწადიან... ასეთი სასტიკია ომი.


ახლანან სირიაში Reuters-ის ჟურნა-ლისტები გახდნენ მოწმენი, თუ როგორ გა-უსწორდნენ ქუჩაში სამთაფრობო ჯარებთან კავშირში ეჭვმიტანილ, სამოქალაქო ტან-საცმელში ჩაცმულ უიარაღო პირს.

საბრალლო ვოგვლეგვარი დაცოხების, სა-სამართლოსა თუ გამოძიების გათრე ქალაქ პარემის ქუჩაშივე გამოასალმეს სიცოცხლეს. აჯანყებულებმა მსხვერპლს ჯერ ავტომატის ჯერი მიუშვეს, შემდეგ კი თავში საკონტრო-ლო გასროლად მიაყოლეს.





# როგორ ხვალის რიი ჯაიჰინის სხვის



ამჟამად აღდნის დედაქალაქ ქაბულში მცხოვრები ფოტოგრაფი და ჟურნალისტი ლადაჯ სხოუ აგერ უკვე 8 თვეა ერთ, უჩვეულო სახელწოდების პროექტზე „ჩვენ მკვდრები არა ვართ“ (We Are The Not Dead) მუშაობს.

პროექტის უნიკალურობა კი ის არის, რომ ხელისუფლებას ბრიტანელი ჯარისკაცების პორტრეტების სერიას ავღანეთში საომარ მოქმედებებში მონაწილეობამდე, მონაწილეობისას და მის შემდეგ ქმნის.

როგორც ჩანს, ცნობისმოყვარე ფოტოგრაფის სურვილი ადამიანის სახის ნაკვეთსა თუ შტერაში ომის კვალის აღმოჩენაა. მართლაც, მის ფოტოსურათებში აშკარად ჩანს ჯარისკაცების გამოძევებულბაში ცვლილებები, რომლებიც ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივი პროცესის — წლების მატებისგან ნამდვილად არ არის გამოწვეული.

# IROBOT-მა ახალი თაობის საბრძოლო რობოტი შექმნა

საოცრებებზე აპარატურის, სამხედრო და პოლიციური დანიშნულების რობოტების დაშაზადებულმა კომპანია IROBOT-მა ახალი რობოტი 710 Warrior-ი წარმოადგინა, რომელიც ასეთეთებულ საშუალებების გაუმჯობესების, დათვალბერბა-დღეგრევისთვისაა განკუთვნილი.

89 სმ სიგრძისა და 46 სმ სიმაღლის მუხლუხა აპარატი ელექტრონითი რთულ რელიეფურ ადგილებს ადვილად უმკლავდება, კაბჭეც ადი-ჩამოდის და სწორ გზაზე 12,9 კმ/სთ სიჩქარეს აეთარბებს. რობოტი სენსორებითა და კამერებითა აღჭურბული და ოპერატორის მშვეობით 800 მ დისტანციიდან იმბარბება. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში რობოტის კორპუსზე სხვადასხვა სახის აპარატურისა და შეიარაღების დამონტაბეც შეიძლება. შემქნელები ამბობენ, რომ რობოტის „ხელს“ აუტომობილის საბარბულის „ფაქსიანდ“ გაღებაც კი ქრბება. ამ რობოტ-მბრბოლების პირველი ორი პროტოტიპი უკვე გამოიცადა ცუნამისგან დაზიანბულ ფუკუჰიმის ატომურ სადგურზე, სადაც „მტკრისსრუტებით“ აღჭურბულიმა აპარატებმა შეიბრა რადიოაქტიური მტკრისიგან გაწმინდეს.

# იაპონური პერსონალი უხეალებიანი გაუხეალებიანი ზედაპოჭილია

იაპონურმა კომპანია „პირობომ“ ნაგოიის საერთაშორისო აეროკოსმოსურ გამოხვნაზე პერსონალიური შეუუღმფრენის პროტოტიპი წარადგინა. ფირმის წარმომადგენელთა თქმით, შეუუღმფრენის პირველ კომერციულ ვხემპლარს 2021 წელს გამოუხებენ და მისი ფასი 100 ათას ფერომდე იქნება.

აღსანიშნავია, რომ წარმბტეხით შეიძლება ამ მინიატურული საფრენი აპარატის მოიხლეუ სა-მაშველი საშუალებად გამოხვნება. შეუუღმფრენი უხმაურია, ეს კი იმ პიბრთა აღმონენას გააადგენილებს, რომლებიც შეუღას ითხოვენ.

შეუუღმფრენი ელექტრობრბეითა აღჭურბილი, 100 კმ/სთ-ში სიჩქარით მობრბობს და 30 წუთი დაფრინებს.



# იხიილ კლახნიკოვი ულაიიკი პეიხს იხიი სხეილის დახვას სთხოვს



ცნობილმა რუსმა კონსტრუქტორმა მიხაილ კალაშნიკოვმა ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს წერილი მისწერა, სადაც მისი სახელის ქარხანა „იჟმასის“ გამო გაჩაღებულ საინფორმაციო ომში გამოხვნებისგან დაცვას სთხოვს. კონკრეტულად, რით გამოიხატება ლეგენდარული „იგტამბტ კალაშნიკოვის“ შემქნელების სახელით სპეკულაცია, 93 წლის მღღწეულმა კონსტრუქტორმა არ დააკონკრეტა. ამასთან, მან მხარი დაუჭირა ვიცე-პრეზიბერ დმიტრი როგოზინის ინიციატებს, რომელიც „კალაშნიკოვის“ ბრენდით იარაღის საწარმოების, „იჟმასისა“ და „იჟმის“ გაერთიანებას ვულისხმობს.

ამჟამდე რუსეთის პრეზიდენტს წერილით „იჟმასის“ ვეტრანებმა, მათ შორის კალაშნიკოვმც მიმარბეს, სადაც იხიი ქვეყნის შეიარაღებულ ქარხნის გადარჩენას სთხოვდნენ: „დასანანია იმის ვურება, როგორ ინგერა და მუშათა თაობები ემსახურებოდნენ. ქარხნიდან მივიდან კვლითეციური მუშაკები, სპეციალისტები და ოსტატები, რომელთა ხელფასები არ აღემატება 10 ათას რუბლს“, — ნათქვამია წერილში. პუტინს წერილზე პასხეა აქამდე არ გაუცია, ქარხნის აღმინსტრაციამ კი განაცხადა, რომ ვეტრანების შეხედულებას „რეალიბასიან კემბრი არა აქვს“.



# ჯარისკაცების სხვა დიდი დანაშაული არ არის?!

**„ნაციონალური მოძრაობის“ ოდიოზური ფიგურების, ყოფილი თავდაცვის მინისტრისა და ყოფილი გაერთიანებული შტაბის უფროსის მიერ ჯარისკაცებისა და ოფიცრების შესაძლო ცემის ფაქტებს არასერიოზულ ბრალდებებზე მიიჩნევენ.**

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, ბრიგადის გენერალ გიორგი კალანდაძის დაკეობა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეკარად გააკრიტიკეს. მათი განცხადებით, ამით ახალმა ხელისუფლებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქართული არმიის იმიჯს და შეაფერხა საქართველოს NATO-ში გაწევრების პროცესი.

რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ბრალდებები? პროკურატურამ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიორგი კალანდაძე კონკრეტული ბრალდების გამო დააკეა, რომელიც მათ მიერ სამხედრო მოსამსახურეთა შესაძლო სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ეჭვობდა.

მოკვიანებთა, გირათიანი გათავისუფლებულ გენერალ კალანდაძეს მორე ბრალდება წაუყენეს სამხედროების შესაძლო წამების თაობაზე და დამატებითი გირათი გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურა შეიარაღებული ძალებში ბოლო წლებში მომხდარ დანაშაულებს ადგენს, სადაც უმძიმესა ახალაიას და კალანდაძის მიმართ ახალი ბრალდებები გამოიკვეთოს, მიუთითებს, რომ ქართულ არმიამ ჯარისკაცებისა და ოფიცრების ცემისა და ლანძღვა-გინებას

მათი მეთაურობით არა გამოხატის, არამედ სისტემატური ხასიათი ჰქონდა. რა გამოდის? ბოლო ორი-სამი წელი სისტემატურად ირღვეოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების არაკეთილჯარისკაცის, კაპრალის, სერჟანტისა თუ ოფიცრის ღირსება და უფლებები, რაც მამინდელი ხელისუფლების სხვადასხვა შტო საკულდაგულოდ მალავდა.

ილი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა, რამაც უფლებამოსილ სამხედროებს მეტი გამბედაობა მისცა, ალბათარაკუბოვებენ იმ დანაშაულებზე, ყოფილი ხელისუფლების წევრები რომ მსადიოდნენ.

რა უნდა ქნას ახალმა ხელისუფლებამ? ისევე როგორც წინამორბედმა დამალის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების შელახვის ფაქტები თუ დაიწყო ობიექტური გამოძიება? რა თქმა უნდა, უნდა დაიწყო ყველა ფაქტის გამოძიება და ასეც მოხდა, რასაც მოჰყვა თავდაცვის ყოფილი მინისტრისა და მოქმედი გაერთიანებული შტაბის უფროსის დაკეობა.

და ეს სრულიად ლოგიკურია, რადგან ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში ვერც მინისტრის თანამდებობა და ვერც გენერლის ვარსკვლავები ვერ უნდა გახდეს ზელმუხუბელობის გარანტი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა

პორტრეტი, რომ სამხედროების უფლებების დარღვევა თუნუქ არასერიოზული ბრალდებებია, გასაკვირი არ არის.

ბევრად უცნაურია, რომ კრიტიკის ნოტები გაისმა თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის განცხადებაში.

ნუთუ ალიანსის წევრი ქვეყნების არმიებში არაგის სჯიან არასაწესდებო ქცევითთვის, თუნდაც ის გენერლის სამხრეებს ატარებს? NATO-ს წევრი ქვეყნების არმიებშიც არ არის იშვიათი დანაშაულები და ამისთვის ისევეაიან დანაშაულები, მიუხედავად იმისა, რა თანამდებობა უკავიათ და რა წოდება აქვთ.

მაშინ რატომ უნდა იყოს გამოწვევის ქართული არმია, რომელიც ალიანსის წევრ მისწრაფვის? ჩვენ უფრო სხვა რამ გვაკვირებს, — საქართველოს შეიარაღებული ძალებთან წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობენ როგორც ალიანსის, ისე სხვა მფობრუელი ქვეყნების ოფიციალური მისიები, რომლებსაც დაწერილობითი ინფორმაცია აქვთ ქართული არმიამ არსებულ მდგომარეობაზე, ნუთუ არასოდეს სმენიათ, რომ ამა თუ იმ ნაწილის პლატოზე ზოგიერთი მეთაური ხელქვეითებს აგინებდა ან სცემდა და ამის შესახებ თვის ქვეყნებში არ გადარეკათ დახურული ინფორმაცია? ცოტა ძნელი დასავკრებელია, ხოლო თუკი ქართულ არმიამ სამხედროების უფლებების შელახვის შესახებ NATO-შიც იცოდნენ, მაშინ რატომ უკვირი, რომ შეიძლება დაისაჯონ დანაშაულები?

# „სარაკვებო ომი“ ისრაელში

## „პაქისტან“ მიერ ეგვიპტეში ქალაქების სარაკვებო დაკოფებას ისრაელმა შეიძლება დაზის საქმორში სხვადასხვა ოპერაციით უახსოვს



ისრაელის ცნობილი საიარალო კომპანია „რაფელი“ სადღეღამისო მუშაობაზე გადავიდა, რათა „ცახალს“ (ისრაელის თავდაცვის არმია) უფრო მეტი ანტირაკეტა მიაწოდოს, რომლებიც რაკეტსაწინააღმდეგო ტაქტიკური სისტემა „რკინის გუმბათისთვისაა“ განკუთვნილი.

14 ნოემბერს ისრაელის სამხრეთ ნაწილში ნამდვილი სარაკეტო ომი გაჩაღდა, — დაზის სექტორიდან „ჰამასის“ მიერ გაშვებული „კასამისა“ და „ფარჯის“ ტიპის უმართავი და ისრაელის საჰაერო თავდაცვის მართავი

საზენიტო რაკეტები ერთმანეთს „ებრძიან“.

„სარაკეტო ომის“ ერთი კვირის განმავლობაში მსოფლიომ დაინახა, რომ ისრაელმა შექმნა მართლაც ეფექტური ემულიონირებული საჰაერო თავდაცვის სისტემა, სადაც მთავარ როლს თანამედროვე ანტისარაკეტო სისტემა „რკინის გუმბათი“ თამაშობს.

Iron Dome-ი, იფუე „რკინის გუმბათი“, გათვლილია 4-დან 70 კმ-ზე მფრენი ტაქტიკური უმართავი რაკეტების აღმოსაჩენად და მათ ჩამოსაგდებად.

მისი გამოცდა 2007 წელს დაიწყო,

როლებაც მან „გრადის“ 122-მმ-იანი უმართავი რაკეტა ჩამოავლო. სისტემის პირველი ორი კომპლექსი საბრძოლო მორიგობაზე, დაზის სექტორიდან გაშვებული რაკეტების მოსაგერიებლად, 2011 წლის მარტ-აპრილში ქ. აშკელონთან დაყენეს. მას შემდეგ დაზის სექტორიდან ისრაელის დასახლებულ პუნქტებს დროთა განმავლობაში რაკეტებს ხვდოდნენ და „რკინის გუმბათს“ არ უჭირდა თითოეული რაკეტის აღმოჩენა-განადგურება.

ბოლო დღეებში კი „რკინის გუმბათს“ ნამდვილი გამოცდა უწევს, რადგან „ჰამასის“ დაზის სექტორიდან უმართავი რაკეტებს ზალაით უშვებს. მიუხედავად ამისა, „რკინის გუმბათმა“ უკვე ჩამოავლო 200-მდე რაკეტა, რაც ნამდვილად დიდი მიღწევაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „რკინის გუმბათი“ ყველა რაკეტაზე არ რეაგირებს. თუკი ამ ანტისარაკეტო სისტემის რადიოლოკატორი აღმოაჩენს რაკეტის სტრატს, მაგრამ მისი დამზინების სისტემა გამოთვლის, რომ „ჰამასის“ გაშვებული რაკეტის ტრაექტორია გასცდება დასახლებულ პუნქტს, მაშინ ძვირადღირებულ ანტირაკეტას აღარ გაუშვებენ. „რაფელის“ დღე-ღამის რეჟიმით მუშაობა იმაზე მიუთითებს, რომ ისრაელს შემოაჯდა „რკინის გუმბათისთვის“ განკუთვნილი ანტირაკეტები, თუმცა, უმართავი „კასამებისა“ თუ „ფარჯების“ დეფიციტი „ჰამასსაც“ უნდა ჰქონდეს.

„ჰამასმა“ უკვე გაუშვა ებრაული დასახლებული პუნქტებისკენ რამდენიმე ასეული რაკეტა, ამასთან, ისრაელის ავიაცია სისტემატურად ბომბავს დაზის სექტორში რაკეტების საცავებს. თუკი ევრაელთ არ გადაკეტვს დაზის სექტორთან დამაკავშირებელ უამრავ მიწისქვეშა გვირაბს, საიდანაც დაზის ირანული წარმოების რაკეტები შუაქით, „სარაკეტო“ ომი გაგრძელდება.

„არსენალის“ ამ ნომრის სტამბაში გაგზავნილას, 19 ნოემბრისთვის, ისრაელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული სხვაგვარი ოპერაცია დაზის სექტორში, თუმცა, მის საზღვრებთან უკვე მოხილვებული იყო „ცახალის“ ჯგუფანტექნიკა და სარტილერიო სისტემები.

თუკი ისრაელი დაზის სექტორში მაინც შეეცაინა სახმელეთო ჯარებს, ეს ყველაფერი მწვევე დაპირისპირებაში გადაიზრდება, რადგან „ჰამასის“ მხარეს შეიძლება ზოგიერთი არაბული ქვეყანაც ჩაერთოს ბრძოლაში.

ირაკლი ალადაშვილი





# თავდასვივს ახალი მინისტრის გეგმები

**როგორც „არსენალი“ მკითხველს შეგვირდით, გთავაზობთ თავდაცვის ახალ მინისტრ ირაკლი ალასანიასთან ვრცელ ინტერვიუს, სადაც ის გვგმებსა და სამხედრო პრიორიტეტულ საკითხებზე გვსაუბრება:**

— უკვე რამდენიმე კვირაა, თავდაცვის მინისტრის პოსტი გიკავიათ. რა სიტუაცია დაგხვდით როგორც თავდაცვის სამინისტროში, ისე შეიარაღებულ ძალებში? გაქვთ თუ არა კითხვები წინამორბედ მინისტრებთან?

— ადამიანური რესურსი, რომელიც დამხვდა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ნაწილში, გაერთიანებულ შტაბებსა და სამხედრო ძალებში, მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ეს უწყება მართლაც შეიძლება ერთ სამაგალითო სამსახურად ჩამოყალიბდეს. ამიტომ, გადავწყვიტე ყველა ადამიანს მიეცე სამუალები, საკუთარი პოტენციალის ბოლომდე რეალიზება შეიძლოს. უკვე გავცანი თანამშრომლების სამუშაო პირობებს, ამოცანებსა და ფუნქციებს. რამდენიმე მოხსენება უკვე ჩამიტარე გაერთიანებულმა შტაბებმა საბრძოლო შტაბფონზე, იმ გვერდებზე, რომელიც აქვთ ამაჰან, მქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, რომ უკვე შესწავლილ ინფორმაციასა და ანალიზზე დაყრდნობით წარმოუდგინო თავდაცვის სამინისტროს განვითარების ახალი ხედა. ასევე გავცანი ჩემი გეგმა სამხედრო შეიარაღებული ძალების სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხებზე. პირველი და მთავარი ამოცანა, რაც განსახორციელებელი

მაქვს, ეს არის ფინანსური დისციპლინის დამყარება, სამოქალაქო კონტროლის აღდგენა, რომელიც სამხედრო შეიარაღებულ ძალებზე არ არსებობდა და ახლა თითქმის აღდგენილია. ჩემი ამოცანაა, პარძონულად თიანამშრომლონ სამხედრო შეიარაღებულმა ძალებმა, გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელმა და თავდაცვის სამინისტრომ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენი თავდაცვისუნარიანობა.

რაც შეეხება წინამორბედ მინისტრებთან შეკითხვებს, ეს ის კითხვებია, რომელიც იმ ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით ჩნდება, რომელიც მომავალში ადარ უნდა დაეკუთვნას. თუ თქვენ კანონდარდებებს გულისხმობთ, ეს ჩემი საქმე არ არის და მათ სპეციალური სტრუქტურები, მაგალითად, პროკურატურა შეისწავლის. იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის არაერთი ფაქტი. ხშირად სამხედრო მოსამსახურეებისა და თანამშრომლების მიმართ დამოკიდებულება შეურაცხყოფილი იყო. ერთ ცნობილ საქმეს გავახსენებ, რომელიც ბატონ სერგო თორაძეს ეხება და რომელიც თავის დროზე ჩვენ წამოვიყიო, — ეს ადამიანი ჯამუშობის ბრალდებით დააკვიეს და შედგომ თავდაცვის სამინისტროს

მდარწინოსებმა ცემით მოკლეს. მაგრამ ასეთი საკითხების გარკვევა არ არის თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივა. მართლმსაჯულება მიხედვს.

ვიცი, რომ ბევრი ღირსეული სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს, მაგრამ ყველა საქმე ინდივიდუალურად უნდა განვიხილოთ სასამართლოს ფუნქციებში ვერ ჩაყრკით, მაგრამ სამხედრო მოხელეების რეაბილიტაციისთვის შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც დათხოვნილი და დაპატიმრებული სამხედროების საქმეებს შეისწავლის. ამის შემდეგ უკვე შე შეიძლება გადაწყვეტილებას, როგორ უნდა მიეთვანთოს ეს თუ ის საქმე ბოლომდე.

— ბატონო ირაკლი, არჩევნების წინ თქვენ გააზნობუნეთ, რომ მამინდელი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა „რეზერვის საფარვეშ“ არაკანონიერ შეიარაღებულ ჯგუფებს აწვადება მოსახლეობაზე ზეწოლის მიზნით ამჟამად თუ გაქვთ დამატაციკებული საბუთები ამის შესახებ?

— ასეთი „რეზერვის“ შექმნის მცდელობა რომ დაიწყო, მაშინვე გავკეთო საჯარო განცხადება, რათა პრევენცია გამეკეთებინა. მათი უპირველესობა ნაბრძოლო, მეომარი ბიჭები იყვნენ და არ მინდოდა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ჩაერთოთ. ამ განცხადებამ თვისი ფუნქცია შეასრულა და მას შემდეგ დაიწვეს ამის სამარ-



ირაკლი ალსანია: პირველი და მთავარი ამოცანაა — ფინანსური დისციპლინის დამყარება და სამოქალაქო კონტროლის აღდგენა

ბა სამხედრო პოლიტიკურ დასტრატეგიულ დონეზე გაკეთებული ანალიზი. ასევე ტაქტიკურ დონეზე შესწავლა, თუ რა შეცდომები დაუშვეს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა. გასაზრებელია კონკრეტული სამხედრო წარმატებები, მაგალითად, ტაშიში. მაღლობა დღემოს, ის ადამიანები, ვინც ამ ბრძოლებს გვემკვიდრენ და მონაწილეობდნენ, ჯერ კიდევ ცოცხალი არიან. ეს არის ჩვენი გამოცდილების ოქროს ფონდი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, რათა თავდაცვის დოქტრინა შევიმუშაოთ სამხედრო დაგეგმარებაში წარსულის შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ, 90-იანი წლების დასაწყისში ის დიდი ისტორიული შინაი, რომელიც საქართველოს ჩაუვარდა საბჭოთა კავშირის შეშღებ, ვერ გამოვიყენეთ.

— თქვენი აზრით, რა სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეები ემუქრება საქართველოს და რამდენად დეკლარატურად შეუძლია ამ საფრთხეებთან გამკლავება მობილურ, მაგრამ მცირერიცხოვან არმიას?

— როდესაც მცირერიცხოვან არმიას ვესაუბრობ, არ ნიშნავს, რომ იგვემბოროტება ჩვენი შეიარაღებული ძალების შემცირება. ჩვენ არ გვეყოლება თურქეთის ან რუსეთისხელა არმია. ჩვენი ზედგა ან, რომ სამხედროებთან შეთანხმებით ჩვენი სოციალური, ოპერატიული ძალების კომპონენტი გავაძლიეროთ, აქცენტზე გადავიტანოთ საპაურო თავდაცვისა და საარტილერიო უზრუნველყოფის მიმართულებებზე. ჩვენი თავდაცვის სისტემა ჩვენს რეაქტიულ საფრთხეებზე უნდა იყოს მორგებული. მთავარ საფრთხედ რჩება ჩვენს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის უკანონო სამხედრო შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლის განახლების შესაძლებლობა. ამიტომ აქცენტზე უნდა გადავიტანოთ შვილობის შენარჩუნებასა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რომელიც ვეროკავშირის სადამკვირვებელი მისიის ეფექტურობის გაზრდის გულისხმობს. საბრძოლო მზადყოფნა უნდა იყოს მაღალი. თუკი ჩვენი მძინინააძიმდგე თავს დაგვესხმება, ისეთი ზიანი უნდა მივაყენოთ, რომელიც მას თავდასხმას გადააფიქრებინებს.

გარდა ამისა, რუსეთის შეიარაღებული ძალების გარდა, ჩვენი რეგიონი ძალიან დატვირთულია სხვადასხვა კონფლიქტით, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები ჩვენი საფრთხის შემცველია. ამიტომ ანტიტერორისტული ოპერაციების სწრაფად ჩასატარებლად მზად უნდა ვი-

თლებრივ სფეროებში მოქცევა. როდესაც მე განცხადება გავაკეთე, მაშინდელ თავდაცვის მინისტრსა და პრეზიდენტს ერთი აქტივ არ ჰქონდათ გამოშვებული. ეს არაფორმალური სამხედრო შენაერთები ახლაც არსებობს და ამ ადამიანებთან დავიწყეთ ურთიერთობა. კონტროლზეა აფეთილი ყველა იარაღი, რომელიც იმ ვჯუფებისთვის იყო გამოყოფილი. საჭიროა, ისინი გვარდინის თუ ნებისმიერი ქვედანაყოფის სწავრთინელ რიტში იქნენ ჩამოული, რათა მათი გადახალისება მოხდეს და ვისაც სურვილი ექნება, გავარძელოს სამსახური შეიარაღებულ ძალებში.

მათი ნაწილი სახლში დაბრუნდა, მაგრამ ასეთ ვჯუფების ინკორორაციას დრო სჭირდება.

— არმიაში საზოგადოებრივი კონტროლი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა, რისი მიზეზიც ის იყო, რომ დამოუკიდებელი მასმედისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კარი ჩარაზული იყო. აბრებთ თუ არა, მასმედისა და შესაბამისად, საზოგადოებისთვის სამხედრო უწყება უფრო დია გაზრდეს?

— ერთ-ერთი ბერკეტი სამოქალაქო საზოგადოების ხელში არის მდელი

აკონტროლი, ანუ გამჭვირვალობა და საჯარო ინფორმაციისთვის ხელმისაწვდომობა მედიისთვის და ასეთ შესაძლებლობას ჩვენს შედას არ შეუვზღუდეთ იმ მძიმდინარეობს რეფორმები და თაიდან ვალიბდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, გვეყოლება საკვირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თავდაცვის რეფორმების პროცესში საზოგადოების ჩართულობაზე.

— აბრებთ თუ არა შექმნათ თავდაცვის სამინისტროში სპეციალური უწყებრივი ვჯუფი, რომელიც გაანალიზებს 2008 წელს ავჯისტოს ომში თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პასუხისმგებელი პირების ქმედებებს?

— მე ამ საკითხს უფრო ფართოდ მეუფდექი. მიმანია, რომ ქართული სახელმწიფოს დიდი შეცდომა იყო, რომ აქამდე არ გავკეთეთ ობიექტური ანალიზი: რა იყო ჩვენი წარმატებისა თუ მარცხის მიზეზი, მე ვგულისხმობ 90-იან წლებსაც. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში 3-ჯერ ოიმა რუსეთთან. ფართომასშტაბიან ომებს ვგულისხმობ, თორემ, ცხადაა, იყო 2004 წლის ცხინვალის და უფრო ადრე, 1998 წლის გალის მოუღენეზიც. ამიტომ ვგვჭირდ-

ყოთ, რაც აუცილებლად გულისხმობს შს სპეციალური დანიშნულების ძალებთან ახლო ურთიერთობას. რა თქმა უნდა, არ ველოდები აგრესიას კარტოს წევრ თურქეთთან. მასთან სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა, ასე თუ ისე, დაპირისპირების საფრთხეს გამორიცხავს. ჩვენ გვაქვს კარტოს, კუთვნილებული, სტრატეგიული მშვიდობა აზერბაიჯანსა და სომხეთთანაც. თუმცა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე ყველა მიმართულებით უნდა იმდგნენ.

— რამდენად რეალურად მიაგნაით, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების შედეგად რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა საქართველოს ტერიტორია დატოვეთ?

— რუსეთის შეიარაღებული ძალები დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, ეს ვალდებულება მათ შეთანხმებით აქვთ აღებული, რომელიც 2008 წელს გაფორმდა. ინტერპრეტაციები ვეროპასა და რუსეთის სხვადასხვაიანი არქო, მაგრამ რუსეთის ფედერაციას თავისი პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ვალდებულების შესრულება მოუწევს.

ეს ვალდებულება მათთვის მე არ დამიწეხებია. ვაღებზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ საქართველო ქვეშაირტად ვეროპული იჯახის ნაწილი უნდა გახდეს. ფუნდამენტურად დემოკრატიული ქვეყანა უნდა ააშენოთ. თუ ჩვენ დავიწყებთ ორმხრე ურთიერთობას აფხაზ

და ცხინვალის რეგიონის ოს მოსახლეობასთან, ინფრასტრუქტურული, სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას, ეს შეამცირებს საქართველოში სამხედრო დაპირისპირების საფრთხეს და აქედან გამომდინარე, დიპლომატიური სამსახურების ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე გაძლიერდება. რაც უფრო ახლოს ვიქნებით ვეროპულ იჯახთან, მათი მხარდაჭერის უფრო მეტი იმედი გვექნება, რათა რუსეთთან ვაწარმოთ მოლაპარაკება. ასევე მე დიდი იმედი და კარგი წარმოდგენა მაქვს საქართველოს დიპლომატიური სამსახურის პოტენციალზე, რომელმაც მოახერხა, რომ საბჭოთა საოკუპაციო ძალები გაიყვანა საქართველოს ტერიტორიიდან, სტამბოლის ხელშეკრულებას გულისხმობს. გადაჭარბებული მოლოდინი არ უნდა გვექნოდეს, მაგრამ ეს მაინც მოხდება.

— ISAF-ის ოპერაციაში საქართველო 2014 წლამდე რჩება. უპირანი ზომი არ იქნებოდა, დანაგარვის შესამცირებლად 1500-კაციანი ქართველი სამხედრო კონტინგენტის ნაწილი მაინც გამოგვეყვანა?

— ჩვენ იმ ვალდებულებების შემკვიდრები ვართ, რაც საქართველომ საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში მონაწილეობაზე აიღო. ეს არ ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ვალდებულება გვაქვს ვეროპელებთან, რადგან ისინი 20 წლის განმავლობაში გვეხმარებოდნენ და ახლა მას ამ სახით ვიხდით.

ეს არის დირებულებათა თანხვედრა. იქ ჩვენი გმირი ბიჭები საერთაშორისო უსაფრთხოებას იცავენ. ამიტომ მე ამ მისიას ბოლომდე მფიფიან. რაც შეეება 2014 წლის შემდგომ თანამონაწილეობას, პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არა გვაქვს. არის სამუშაო ვარანტები, არასამხედრო საბრძოლო მონაწილეობის, საინჟინრო მომსახურების. ასე რომ, ყველა ვარიანტი განვიხილოთ.

— თქვენი წინამორბედის დროს ყველა რანგის სამხედროებზე ზეწოლა ჩვეულებრივ რამ გახდა. აპირებთ თუ არა სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას?

— სამხედროების პატივის შემლახვი დამოკიდებულების არაერთი ფაქტია. იყო დანაშაულები, რომელსაც მე ვერ დავადასტურებ, რადგან პატივის ცემე უდანაშაულობის პრეზუმეციას. მაგრამ ეს არ უნდა განმეორდეს. ამიტომ მე თავად გამოვიდი სამხედრო ომბუდსმენის შექმნის იდეით და პარლამენტის გადაწყვეტილებას დავლოდები.

— ბატონო ირაკლი, 10 წლის წინ პანკისის ზეობაში, როგორც მახსოვს, „სტეჟინის“ ავტომატური პისტოლეტით დადიოდით. თუ გიყვართ იარაღი და ახლა რომელი ფირმის პისტოლეტს ანიჭებთ უპირატესობას?

— ის იარაღი უწყებას ჩაუბარე, ახლა „გლოკი 17“ მაქვს.

ირაკლი ალაღაშვილი  
ლალი პაპასპირი

ახალი თავდაცვის მინისტრი ქართულ არმიასი აქცენტს ახალ მიმართულებებზე გააკეთებს



პრემიერი  
ვიმპალი



„მე თქვენთან მოვედი როგორც ორხელისუფლებიანი ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ოპოზიციის ნაწილია, უფრო მეტიც, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე ქვეყნისა, რომელიც მისი სწავლის თავისუფლებისაა“, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა NATO-ის საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეებს ამა წლის 12 ნოემბერს, პრავაში. საწინააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ორხელისუფლებიანობა მართლაც სახეზეა: სახიფათო ორხელისუფლებიანობა ვეღვან იგონებთ.

რევიონებში (ბოუაგებს ერთი ამოღეს, ხარკა კი მიორეს ვეალებს), თბილისის შერა უკვე იქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში, საკუთარი ფინანსებით და „მინისაქსამსახურით“ და რაც ვეღვან მეტად სახიფათოა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის: არსებობს რეალური საფრთხე, რომ ერთი ქვეყნის სპეცსამსახურები ფარულ დაპირისპირებაში ჩაებმებან (თუ უკვე არ არიან ჩაებმული). ხელისუფლების „დეოკრატულიად გადებარება“ საერთაშორისო საზოგადოებაზე გათვლილი ისეთივე პიარაქცია აღმოჩნდა, როგორც „პლენსახურზე“ კაპიტალურად შესაკეთებელი სახლების მხოლოდ ფასადების შეღებვა.

მეილი საიქმელია, აღრვე შეგნებულად იფო თუ არა საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებული დეფინიციად, საჭადრაკო ენაზე რომ ვთქვათ, პატური სიტუაცია, თუქცა, ფაქტი სახეზეა: მთელეთ კურიოზული რეალობა, სადაც საქართველოს პრეზიდენტს მიხედო სააკაშვილს პირიპირად დაქვემდებარებაში ჰყავს სპეცსამსახურები (სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური

# ორხელისუფლებიანი საქართველოს საქმისადასახეობა

და საგარეო დაზვერვის სამსახური) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთგული კადრებით დაკომპლექტებული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი და ქვეყანაში არსებული ფეთქებადსაშიში სიტუაციიდან გამომდინარე, უნდათ თუ არა, მოუწვეო პრეზიდენტის დია თუ ფარული განკარგულებების შესრულება.

შეორე მხრე, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ აქვს ლეგიტიმური სურვილი, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა სრულფასოვან და არა „კასტრიტურულ“ რეჟიმში წარმართოს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა იფანიშვილს ამჟამად ექვემდებარებიან: შს, თავდაცვის სამინისტროები, ოუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის, ასევე სასეკლადსრულებითი დეპარტამენტის ოპერატიული შემსაძლებლობები.

## საქართველოს პროზიდენტის პირადი სამსახურისადასახეობა

1. ეროვნული უშიშროების საბჭო — ამჟამად წარმოადგენს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ იდეოლოგიურ შტაბს.

თავად ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის საათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული სამხანაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე, აგრეთვე ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში და ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ვეღვან ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვისა და უმაღლეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ორგანული კანონის თანახმად, უშიშროების საბჭოს მდივანს საკომოდ დიდი ფუნქციები აქვს, კრძოდ, უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობის ორგანიზებას; ამხანავს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს; აკონტროლებს სახელმწი-



პრეზიდენტი  
საკაშვილი

ფო თავდაცვისა და უშიშროების საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, განკარგულებებისა და სხვა აქტების შესრულებას; კოორდინაციას უწევს ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ვეღვან ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.

და რაც ვეღვანე საინტერესოა: **დადგენილი წესით არსულებს საქართველოს პრეზიდენტის ცალკეულ დაულებებს.**

ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის თანამშრომელს ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავსუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ასე რომ, გიგა ბოკერია სამსახურბრძივი მოვალეობების შესრულებისას ანგარიშგადღებულა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი გიგა ბოკერიას ამ მნიშვნელოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელად დაინიშნენ შემდეგ გაუმრად როგორც დაფინანსება, ასევე ფუნქციები. შედგედ მთელეთ 38-კაციანი მინისამინისტრო, რომელიც კარგად ფინანსდება და მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ექვემდებარება. 2011-2012 წლებში ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის



ბიუჯეტზე შესაბამისად 19,2 მლნ და 24,8 მლნ ლარს შეადგენდა.

რამი იხარავებოდა ეს თანხები? ზოგი ინფორმაციით ამ თანხებით ფინანსდებოდა ის უცხოური ლობისტური კომპანიები, რომლებიც საქართველოს (უბრუნეულად კი „ნაციონალებს“ ხელისუფლების) იმიჯის „გალამაზებას“ ახდენდნენ უცხოურ მასშტაბში.

**2. საქართველოს დაზვერვის სამსახური.** სწორედ ასე ქროდებოდა ამგვარდ ყოფილ საგარეო დაზვერვის სამსახურს. დღეინიცის შეცვლას მნიშვნელოვანი ფუნქციონალური ცვლილება მოჰყვა: ამ სპეცსამსახურს შეუძლია სადაზვერვო საქმიანობა აწარმოოს როგორც საქართველოს გარეთ ასევე ქვეყნის ტერიტორიაზეც.

შეიძლება ბევრს არც კი ახსოვს, რომ ასეთი სპეცსამსახური საქართველოში არსებობს, დალაგებულ და წყნარ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნისთვის შესაძლებელია დაზვერვის სამსახურის ეფექტიანობა ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იყოს, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის.

კანონის თანახმად, საქართველოს დაზვერვის სამსახური არის საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ადმინისტრაციული ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც სა-

ქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით ქვეყა სადაზვერვო საქმიანობას.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საგარეო საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვის, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში გადაწყვეტილებების მისაღებად.

დაზვერვის სამსახური თავის საქმიანობაში ადამოკიდებელია და ანგარიშგაღებულა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე.

სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

სამსახურის უფროსი არის საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი დაზვერვის საკითხებში და ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ეროვნული სადაზვერვო პროგრამის განხორციელებას. 2008 წლის დასაწყისიდან ამ პოსტს გელა ბეჟუაშვილი იკავებს.

სამსახური თავის უფლებამოსილე-

ბას ახორციელებს საქართველოს მსხველდრებს გარეთ, აგრეთვე, საქართველოს მიუღი ტერიტორიაზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

საინტერესოა, რომ კონსპირაციის მიზნით სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ქმნის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ-სამშპებრო საქმიანობას;

შეითხველს ვიზიუ ერთ გამომუშავს მაიაქციის განსაკუთრებული ყურადღება:

**კანონის თანახმად, სამსახურის მოსამსახურებს, დაზვერვის სამსახურისადმი კუთვნილების გაუმჯაღებლად, შეიძლება საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოში, აგრეთვე, სხვადასხვა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში ეკავოს თანამდებობა.**

საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოს, აგრეთვე, სხვადასხვა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ამ მოსამსახურის დაზვერვის სამსახურისადმი კუთვნილების გამჟღავნებისათვის დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეს კი ნიშნავს, რომ შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელისუფლების სტრატეგიული ორგანოები დაზვერვის სამსახურის „ღრმა დამიფერავში“ მყო-

**პრეზიდენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას ატარებს**



საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური საქართველოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მცოდნე გასამხედროებელი დაწესებულებაა



ფო თანამშრომლებითაა დაკომპლექტებული და ახალმა ხელმძღვანელმა არც კი იცის, თანაც ამის გამძლეობა კანონის დარღვევა იქნება! მართლაც, რომ „ჯგალმსური წრეა“.

უკანასკნელი წლებია დაზვერვის სამსახურის რიცხვონობა 160 თანამშრომელია, ხოლო წლიური ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია!

დარწმუნებული ვართ ქართველი „ვეიშმ ბინდებისთვის“ (იმედა, მათ რიგებში „მტირლიცები“ არ იქნებიან!) საზოგადოებას მილიონები ნამდივილად არ დანანება, მაგრამ სად არის კონკრეტული შედეგები? ამ სპეცსამსახურში მართლაც ბევრი კვალიფიციური კადრა, თუცა, ძნელი სათქმელია, თუ იღვსმე ზვებოდა მათი რჩევების დარეკომენდაციების გამოყენება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

3. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. შესაბამისი კანონის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური არის საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულება, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური აზორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების შტოების, აგრეთვე, მათი თანამდებობის პირთა ფიზიკურ დაცვას მართლსაწინააღმდეგო შედეგისაგან ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ამოცანაა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან დაცვა; საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირები;

ამ კანონში 2011 წლის 24 ივნისში ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, კერძოდ, საკუთარი ამოცანების შესრულების მიზნით: **სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს შეუძლია კადრში დატრეპებით დანიშნოს სამსახურის თანამშრომლები საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად სახელმწიფო ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.**

კვლეფ ფრული თანამშრომლები სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებიც პრეზიდენტს ექვემდებარებიან!

**3000 ფლოვს ინფორმაციას, ის ამონტროვლვას სიტუაციას**

პრეზიდენტი სააკაშვილი პრძილის გაგრძელებას რომ აპირებს, ეს უპირველესად

ლესად ამ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურზე აისახა.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მტკიცეული დამარცხების ერთი კვირის თავზე საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ ბრძანებულებაში ცვლილება შეიტანა და შსს-ს მმართველობას დაქვემდებარებული „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების მართვის სფეროდან გაიყვანა. საავნტრო სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაქვემდებარა, რითაც ეს უკანასკნელი ამჟამად საქართველოში არსებულ ყველა სპეცსამსახურზე ძლიერ სტრუქტურულად ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ გასაგები რომ იყოს, მოკლედ ჩამოვთვლით, „სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის საავნტროს“ უნიშვნელოვანეს ფუნქციებს:

— თუვის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველვოს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის ფუნქციონირება, განვითარება და მართვა, განახორციელოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა;

— საავნტრო ფლობს და განკარგავს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემას, რომლის სტატუსსა და გამოყენების წესს განსაზღვრავს პრეზიდენტი;

— საავნტრო სახელისუფლებო სპე-

**2008 წლის დასაწყისიდან  
საქართველოს დაზვერვის  
სამსახურის შეფი —  
გელა ბეჟუაშვილი**



ციალური კავშირების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს: ქვეყნის უმაღლესი და მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მუდმივი ან დროებითი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლას დახურული კავშირით, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით სახელისუფლებო სპეციალური კავშირების ქსელის შიგნით სახელისუფლებო სპეციალური კავშირების ქსელის შიგნით სახელისუფლებო საინფორმაციო ტელისუფლებების იმ დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ საქმის წარმოებას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც საიდუმლო, ასევე ღია ინფორმაციის გაცვლის ოპერატიულობას, დაცულობასა და საიმედოობას; საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის დახურული კავშირით სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემის აპონენტებს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირით მონაწილეობა გააძვირებს სერვისით, აგრეთვე, ტექნიკური პირობების არსებობის შემთხვევაში, ინტერნეტით

მოკლედ და გასაკებად რომ ვთქვათ, ეს საავტორო ქვეყნის „მოავარი ასინეთა“! მას შეუძლია მოუხმინოს ყველას და ყველგან!

საინტერესოა, რომ ანალოგიური ცვლილება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჯერ კიდევ 2003 წლის 11 მარტს განახორციელა.

საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური პატარა კავებდ იქცა, მისთვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციით დაზვერვით, კონტრდაზვერვით, „ოტოთ“ (ოპერატიული-ტექნიკური განყოფილება), ელექტრონული დაზვერვისა

და ფარული მიფურადების, ასევე ელექტრონული ინფორმაციის მოხსნის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ერთგული დანაყოფებით და რაც მთავარია, ეს სპეცსამსახური, სადაც ოთხი ათასამდე კაცი მსახურობს, დაფინანსების ნაკლებობას არასოდეს განიცდის. **2011 წელს მისი ბიუჯეტი 55 მლნ ლარია იყო, 2013 წლისთვის კი დაახლოებით 50 მილიონს გამოუფო იკავებდა.**

2004-2010 წლის ოქტომბერში ამ სპეცსამსახურს სახელმწიფო დაცვის გენერალ-ლეიტენანტი ოთარ ქველიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო 2010 წლის ოქტომბერიდან დღემდე სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორი თეიმურაზ ჯანაშია ხელმძღვანელობს.

უნდა ითქვას, რომ ეს საკადრო ცვლილება არავითარგონივრად მიიღო პირადმა შემადგენლობამ. პირად საუბრებში ბევრი მათგანი უკმაყოფილებას

არ მალავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ 2012 წლის ზაფხულში მათ ჰქონდათ მოლოდინი ფიცილი შეფის უკან დაბრუნებისა, თუმცა, ყველაფერი უცვლელად დარჩა.

საინტერესოა, რომ ორხელისუფლებო ბინოების შეცვლას საპარლამენტო უმრავლესობა უკვე გეგმატ.

ამ წლის ნოემბრის შუა რიცხვებში საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ოთარ ქველიძის, ირინა იმერლიძის მითერ ინიცირებული კანონპროექტის თანხმად, ცვლილებები უნდა შეეცვინოს საქართველოს კანონში „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ და შესაბამისი თანამდებობის პირთა დაწინაურებისა და გათავისუფლების უფლება, საცვლად საქართველოს პრეზიდენტისა, მთავრობის უფლებებში უნდა გადაეცინოს.

ამ ცვლილებების შემდეგ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახური პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადადის, თუმცა, არის კი ეს ოპტიმალური გამოსავალი? სუსტდება ერთი სახელისუფლებო შტო და ძლიერდება მეორე, რაც ამ სპეცსამსახურზე დემოკრატიულ კონტროლს ნამდვილად ვერ გააძლიერებს.

**ამისკა კლავაშვილი**  
ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების ვადამდგარი პოლკოვნიკი

# „ლიგა“

სამპრონალო ბაერტიანება



## სამსოკატიოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სქესუაღებო დარღვევის მკურნალობა
- სქესუაღებო წარუმეტებლობის მილოდინის შიშის მოხსნა

**სელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე**

მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

www.league.ge

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# 500-მდე სამხედრო თავდასვის ყოფილ გადაღვივებულს უჩივის...

## „ჯარისკაცები ისევე დაემონებულნი ჰყავდათ, გოლო დროს ოფიცრებსაც დაგვიჩვივნენ“

—ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამხედროებმა შეიარაღებულ ძალებში არსებულ პრობლემებზე დაიწყეს ლაპარაკი. ზოგი საჯაროდ, ზოგი კი ფეხიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე ანიონმურად ჰყვებიან, რადგან უმეტესობა შეიარაღებულ ძალებში დაბრუნებას აპირებს. უურნალ „არსენალს“, ძირითადად, სამხედროები კითხულობენ და შურაყცხეოფილი ადამიანის სახელით ცხობრება და სამხედრო სამსახური მხელა. ჩვენ ვასრულებთ მათთვის მიცემულ პირობას და მთხრობელია ვინაიაბს არ გაუახურობთ.

ჩვენი მკითხველისთვის შეიარაღებულ ძალებში არსებულ პრობლემებზე ინფორმაცია არაერთგზის მივაწოდებთ, მაგრამ ის, რასაც ჩვენი რუსოინფრტები ჰყვებიან, ცალსახად მაინწინებს, რომ მათი ჟმედებები არმაის დემორალიზაციას ემსახურებოდა.

ორგანიზაცია „სამართალი და თავიუფლება“ დირექტორის, ნინო თურმანიის თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ 500-მდე სამხედრო პირმა მიმართა და შეიარაღებულ ძალებში არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ.

### 6060 ომრანიაში:

— 13 წელია, რაც სამხედროების სამსახურებრივი უფლებების დაცვის საკითხებზე ვუჭობთ და ამ ხნის განმავლობაში არაერთი კანონდრღვევა მოხდა. ხელისუფლების შეცვლამდე ხშირად მოვამართებდნენ სამხედროები და სხვადასხვა რანგის სამხედროების თვითნებობას უჩიოდნენ. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ჩვენს ორგანიზაციას ასობით სამხედრო მოაწილა. უმეტესობა ამბობდა, რომ უკანონოდ დაითხოვეს და პატაკი ნების საწინააღმდეგოდ დააწერინეს. როდესაც

ვეკითხებოდით, რატომ დაწერით, ბევრის ამის განმარტებაც არ უნდოდა, შემდეგ გაუარკვიეთ, რომ ძალდატანებით აწერინებდნენ. ეუბნებიდნენ, ვიცით, სადაც მუშაობს შენი მუფლე, რომელ ძაღში დადის შენი შვილი და თუ არ დაწერ, უარესი დაეკმართებო. ზოგჯერ სცემდნენ კიდევ, რომ პატაკი დაწერათ სამხედროების თქმით, ცემას სადამსჯელი ღონისძიებას ემსახურენ და ხშირად მათ რამდენიმე ათეული სამხედროს წინაშე ურტყამდნენ, რათა სხეულისთვის მაგალითი ყოფილიყო. თუ გაბეჯდნენ და ბრძანებას არ შეასრულებდნენ, ანუ პატაკს არ დაწერდნენ, ასევე გაუსწორებდნენ.

— **დარღვევები ყველა ნაწილში იყო თუ ზოგიერთში?**

— თითქმის ყველა სამხედრო ნაწილში იყო, მაგრამ განსაკუთრებით ხშირი IV ბრივადში. ადრიათი ამიტომაც იყო მამათა და კეუბელი. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა შეიცვალა, ვაკრების დასახლებების მინცვ ერიდებიან და სწორადც იქცევიან. პირად საუბრებში გაუერთხილე კიდევ, ჯერჯერობით ვინაიაბის გამჟღავნებას მოერიდონ.

ცემის მიხეზი სხვადასხვა იყო, უმეტესად პატაკის დაწერის გამო სცემდნენ. საურაულოდ, მათ ფინანსების დაზოვივის არნისით ხობუდნენ.

მინსობის სამხედრო წესდება, თუ რა პუნქტების დარღვევა ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის დათხოვნას. ეტყობა, იმ ჩანონათავლიდან ვერაფერი მიუსადაგეს და ამიტომ აიძულებდნენ ძალიან დაწერას. ასეთ დროს სამხედროები საკუთს ვერ გაასაჩივრებდნენ და ბოუჯეტთან კომპენსაციას ვერ მიიღებდნენ. კიდევ ერთი მიხეზით, სამხედრო პენსიისთვის 20-წელიანი სამხედრო ნამსახურებაა საჭირო და იყო შემთხვევები, როცა რამდენ

ნიმე სამხედრო 20 წლის შესრულებამდე რამდენიმე დღით ადრე დათხოვდნენ. სამხედროების დათხოვნის მიხეზი პირადი დამოკიდებულებაც იყო. **საკმარისი იყო, სამხედროს პრეტენზია გამოეთქვა, რომ მამინე „ცემას ექვემდებარებოდა“.**

კანონით, სამხედრო სამსახურში დისციპლინის დამრღვევათვის არსებობს სადისციპლინო წესდება, რომლის მიხედვითაც უნდა დაისჯოს დამრღვევი და საჭირო შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი კოდექსიც ერივება საკმეში. შეიარაღებულ ძალებში იყო გენდერული ბალანსის პრობლემაც. ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ასეთი იყო, — ჯარიში ქალს რა უნდა...

„არსენალი“ ზეწოლის ფაქტებზე სასაუბროდ რამდენიმე დახარალებულს დაუკავშირდა:

### ომრანიაში, I ქვეითი ბრივადის სარტულიანი პატალიონი:

— გიორგი კალანდაძეს პირადი ინტერესი ჰქონდა, რაც ბიძამეშთან იყო დაკავშირებული. ის სამხედრო პოლიციამში მუშაობდა, როცა მას და კალანდაძეს შორის უსამართლებად მოხდა. მამინ უთქვამს, შენს ჩემოსა და დისშვილს არ გაუახარებო. ჩემი ბიძამეშვილი სამხედრო იყო და კალანდაძეს ის სამხედრო აკადემიადი კურსანტობის პერიოდში გარიცხა.

2007 წელს ერავში გაპრებული წასვლას. გამბეზრებამდე რამდენიმე დღე მჭინდა დარწმინდი, რომ გიორგი კალანდაძემ ბრალი დამდო, ვითომ კრახეში პლაცზე გადავატარე, როდესაც პირადი შეზღვევლობა საბანაოდ IV ბრივადში ამყავდა. სინამდვილეში მანქანებმა პლაცის გვერდით გაიარეს. ბრივადის ჰიმნიკრიდან გამოსვლისას, გამაქრეს და კალანდაძესთან ამიყენეს, მან კი თვალბი



**ზანზა, კაბიტანი (იმ დროისათვის მა-  
ორი):**

— 2011 წლის 3 იანვარს სამსახურში  
მიხვალ მითხრეს, რომ გასაცხვლად უნ-  
და მოეზადებოდა. მაგრამ სად, არ  
უთქვამთ. მთელი პირადი შემადგენლობა  
დაახლოებით დამის 2 საათისთვის დეპარ-  
ტამენტებიდან ვაზისა და არომატული მიე-  
ვიყვანეს, სადაც კარები გახვალს.

ამას მოჰყვა გაუთავებელი მოწყობე-  
ბი, რომელიც ახლაც არ ვიცი, რა მიზანს  
ემსახურებოდა. შემდეგ მინისტრი ბაჩო  
ახალაიაც მოვიდა. ჩვენ ისევ მივჩვენეთ  
მაგრამ მინისტრი შორიახლოს იდგა. ია-  
რალის ჩაბარება გვიბრძანეს. შემდეგ მოვი-  
და გენინსპექცია და აკოთხა, ვის გვექონდა  
ტელეფონი. იმ პერიოდში ტელეფონებს  
არანაირი ბრძანება არ გავცემულა. ის კი  
არა, პირადი შემადგენლობა კითხულობ-  
და, მობილურები სად წადილიყო, მაგრამ  
პასუხი ვერ მიიღო. ამიტომ, გენინსპექ-  
ციის შეკითხვაზე მობილურები ვველამ  
აჩვენა. ამის გამო დაიწყო სადამსჯელი  
ქმედებები.

საერთოდ, სამხედროების სირბილს,  
მოწყობას და მთელ ამ პროცესს ერთი  
ქვედანაყოფი კონტროლებდა. რამდენ-  
მესაათიანი ლოდინის შემდეგ სამხედრო-  
ების ბრძენებების თახში შესვლა გვიბრ-  
ძანეს, სადაც მინისტრი ბაჩო ახალაია,  
გიორგი კალანდაძე და გენინსპექციისა  
და სამხედრო პოლიციის წარმომადგენ-  
ლები იყვნენ. ჯერ გელანბოლს, სამხრეთ  
აკავებდნენ. ბოლოს კი მთელი პირადი შე-  
მადგენლობის სამხედრო ძალებიდან დათ-  
ხივნა გადაწყვიდა. დაახლოებით 100 სა-  
მხედრო მოსამსახურე ვიყავით და აქედან  
90-ის გაგდება გადაწყვიტეს. გვითხრეს,  
ნების დაწერეთ პატაკი, თორემ უარეს  
დაგეგმარებათა კონტრაქტის მომსახუ-  
რებს სანქციებს დაგაკისრებთო. თავდაც-  
ვის სამინისტრიდან მოვიდა ორისხედი,  
დეპარტამენტის უფროსი ჯიბრბანაძე,  
რომელმაც ოფიცერთა შემადგენლობას  
1992 წელს საფრანგეთმა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მსგავსად, შეიარაღებულ ძალებში სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფი COS (Commandement des operations spéciales) შექმნა, სადაც გაერთიანდნენ შეიარაღებული ძალების ის ნაწილები და შენაერთები, რომლებიც მტრის დრმა ზურგში დაზეფრავზე, დეფერსიებასა და სხვა სპეცდავლებათა შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი.

გარდა ამისა, COS-ს დაეკუთვნება ბარნენ საბრძოლო მოქმედებათა უზრუნველყოფის ქვედანაყოფები.

ასეთმა გაერთიანებამ ხელი შეუწყო სხენებული ნაწილების წერთან-აღჭურვას, მოქმედებათა უკეთ კოორდინირებასა და სპეცოპერაციათა დაგეგმვას. მანამდე კი სპეციალური დანიშნულების ნაწილები, საზმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების სადესანტო ქვედანაყოფები ქვეყნის სწრაფი რეაგირების ძალებში (Forces d'action rapide) იყვნენ გაერთიანებული.

### პირმელები

COS-ის ელიტურ ნაწილებს მიეკუთვნება:

1. ცალკეული სპეციალური სარდლობის ნაწილები Groupment special autonome (GSA): — საზღვაო ქვე-

თბის 1-ლი პარაშუტისტთა პოლკი — 1 Regiment parachutiste d'infanterie de marine;

დასახელების მიუხედავად, პოლკს საზღვაო ქვეითებთან საერთო არაფერი აქვს.

● სპეციალური ოპერაციების საავიაციო რაზმი — Detachment aerien des operations speciales;

რაზმი ოპერაციებში 1-ლი პოლკის საავიაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

2. ფლოტის კომანდოსების ხუთი ქვედანაყოფი, რომლებიც საზღვაო ქვეითთა ხელმძღვანელობისა და საგანგებო დანიშნულების რაზმების სარდლობის განკარგულებაშია — Commandement des fusiliers — marins commandos (COFUSCO);

3. სამხედრო-საჰაერო ძალების კომანდოსთა ჯგუფები. მათ მიეკუთვნება:

● საჰაერო ძალების კომანდოსთა მე-10 პარაშუტისტების ქვედანაყოფი — Commando parachutiste de l'air no 10 (CPA 10);

● შეუღლებრენთა საგანგებო ოპერაციების ესკადრია — Escadrille des helicopteres speciaux (EHS);

● სპეციალური ოპერაციების ავიაციის დივიზიონი — Division des operations spiales(DOS);

### COS-ის ამოცანები

საფრანგეთის სპეციალური ოპერაციების ნაწილები განკუთვნილია რიგი ამოცანების შესასრულებლად და მათ შორისაა:

● სამხედრო დახმარების გაწევა, რაც უცხო ქვეყნის სამხედროების წერთან-მოზზადებას ნიშნავს და უმთავრესად ეჭება აფრიკულ ქვეყნებს, რომლებსაც საფრანგეთთან სამხედრო დახმარების ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული. გარდა ამისა, ის შეიძლება შეეჭობოდეს მათ ტერიტორიაზე პუ-მანიტარული ოპერაციების ჩატარებას;

● მოწინააღმდეგის ტერიტორიის დრმა ზურგში სამხედრო ოპერაციების ჩატარება, დღისით და დამთი დესანტის გადასხმა, ჩამოვლებული თვითმფრინავების პილოტების ძებნა, სამშვიდობო და კავშირის მისიები;

● ტერიტორიულ ბრძოლა, რაც ნიშნავს როგორც მძევალთა გათავისუფლებას, ასევე ცხელი წერტილებიდან საფრანგეთის მოქალაქეების ევაკუაციას;

● ფსიქოლოგიური ოპერაციების ჩატარება და გათავისუფლებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო ადმინისტრაციის მუშაობის ორგანიზებაში მონაწილეობა;



ფრანგული სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფის წინაპრები საბრძოლო პოზიციაზე

### საზღვაო ძველითაის 1-ლი პარაშუტისტთა კოლბი

ეს პოლკი ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს ბრიტანულ SAS-ს. მის რიგებში მოსახვედრად მოხალისე კანდიდატები შერჩევის მკაცრ გამოცდას აბარებენ და საკონკურსო ბარიერების დაძლევის შემთხვევაში ცხრა თვე სადღეისო მომზადებას გადიან, რომლის დროსაც კანდიდატების 50% განითხოვება.

მკაცრი მოთხოვნები ვრცელდება ნებისმიერ კანდიდატზე, სამხედრო წოდების მქონეადაც.

პოლკის შემადგენლობაში შედის შტაბი, სამეთაურო, მომსახურების, სასწავლო და RAPAS-ს სამი საბრძოლო ასეული.

საჭიროების შემთხვევაში სასწავლო ასეულს RAPAS-ს თიხი საბრძოლო ასეულის ჩამოყალიბება შეუძლია.

RAPAS-ს თითოეული ასეულს თავისი სპეციალიზაცია აქვს:

- პირველი ასეულის დანიშნულებაა სპეცოპერაციების ქალაქგარეთ ჩატარება, მდინარეებისა და წყლის წინაღობების დაძლევა, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო მოხელეების დაცემა;

- მეორე ასეულის სპეციალობაა ქალაქში მოქმედება, დევნილების მძივობა და სწავლინება. გარდა ამისა, ისინი კარგად ფლობენ „შენგრევა-შედწევის“ ტექნიკას;

- მესამე ასეულის დანიშნულებაა მძიმე ნაღმსტორცნებით საცეცხლე

მხარდაჭერის უზრუნველყოფა, საპაერო თავდაცვა და მსუბუქი ვეღვანძეულების გამოყენებით სადაზვერუო მოქმედებები;

პოლკის საბრძოლო ერთეულია ოცეულის შემადგენლობის დაზვერვისა და სპეცოპერაციების ჯგუფი, რომელსაც ოფიცერი ან უნტერ-ოფიცერი მეთაურობს.

ჯგუფი ოთხკაციან გუნდებად იყოფა და მის ბირთვს მეთაური, რადისტო, მკაუშირე სპეციალისტი და მედიკოსი ქნია.

ჯგუფის შემადგენლობაში ასევე შედის მხვერეთა სამი წყვილი და თითოეულს აქვს დევრსიების დავეგმვა-ჩატარების გამოცდილება და „შენგრევა-შედწევის“ მეთოდიტ სპეცოპერაციების ჩატარების უნარი.

მტრის ღრმა ზურგში გადასროლილი ასეთი ჯგუფებიტ 160-კაციანი რაზმის ჩამოყალიბება შეიძლება.

RAPAS-ის მებრძოლები რეგულარულად ვარჯიშობენ და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში მოქმედებებს ეწევიან. მაგალითად, ჯუნგლებში მოქმედებისთვის წერთებს საფრანგეთის გვიანაბო გადაინ, უდაბნოში ორიენტირებასა და თავის გადაჩინას ჯიბუტებში სწავლობენ, ხოლო საგანგებო საბოო მომზადებას პირინეს მთიანეთში გადიან.

სპეცრაზმელები შეიარაღებული არიან FAMAS-ის ან Smith & Wesson-ის 5,56 მმ-იანი პისტოლეტებით, მაყუჩიანი 9 მმ-იანი Mini Uzi-ს და Heckler &

Koch-ის MP5-ის სხვადასხვა მოდიფიკაციის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით. მათ არსენალშია აგრეთვე სხვადასხვა მოდიფიკაციის საიერიშო შაშხანები, 81 მმ-იანი და 120 მმ-იანი ნაღმსტორცნები, ტანკსაწინააღმდეგო მართიადი სარაკეტო კომპლექსები Milan-ი, ხელიტ გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები Stinger-ი და Mistral-ი და სხვ.

### საზღვაო კომანდოსები

საფრანგეთის საზღვაო კომანდოსები, ისევე, როგორც პირველი პოლკის მებრძოლებს, საომარი ტრადიციები მეორე მსოფლიო ომიდან მოსდგამი.

1942 წელს შოტლანდიაში „თაეისუფალი საფრანგეთის“ მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული ბრიტანეთის კომანდოსია მე-4 ქვედანაყოფი გამოირჩეოდა მაღალი სულისკვეთებით, ურთიერთდახმარებისა და საბრძოლო მეგობრობის გრძობით.

ომის დამთავრებამდე მოწინააღმდეგის ზურგში ეს ქვედანაყოფი საბრძოლო რეიდებს ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებთან ატარებდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დიდ ბრიტანეთში ოკუპირებული ქვეყნების მოქალაქეებისგან შექმნილი სპეციალური დანიშნულების ყველა ქვედანაყოფი თავიანთი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხა.

1945 წელს აღვივის მახლობლად, სიროკოში, საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში ჩამოყალიბდა დევრსანტების მოსამზადებელი საწერითელი ცენტრი.

ამ ცენტრის შემადგენელ ბირთვს სწორედ კომანდოსების მე-4 ქვედანაყოფის ვეტერანი მებრძოლები შეადგენენ.

1945-47 წლებისთვის საფრანგეთის საზღვაო კომანდოსების ექვსი ქვედანაყოფი ჰყავდა, რომლებსაც ომში გამორულად დაღუპული ოფიცერების სახელები ეწოდათ „დე-ვენფენტენი“, „დე-მინგერი“, „იუბერი“, „ჟუბერი“, „ფრანსუა“ და „ტრეპლი“.

საბრძოლო ნაილობა ამ რაზმებში ინტონიუმში, მეკონგის დელტაში, ანამის სანაპიროსა და ტონკინის ყურეში ჩატარებული სპეცოპერაციების მითილს.

ნამბინის ტაძრისათვის ერთ-ერთი გაფთირებული ბრძოლისას რაზმმა „ფრანსუაში“ პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი დაკარგა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ის სარეზერვო ნაწილად გადააკეთეს.

რაზმი „იუბერი“ 1953 წელს მეგრძოლ მკვინთათა ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა.

1976 წლიდან საფრანგეთის ფლოტის სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები ექვსთვიან სამსახურს ინდოეთის ოკეანეში საბრძოლო ზომადღებზე გადიან.

დღეისთვის დანარჩენი ხუთი რაზმი ბრიტანული SBS (Special boat squadron)-ისა და ამერიკული SEALs-ის ფრანგულ ანალოგს წარმოადგენს, ოქცა, „იუბერი“ მათი რიგებიდან მისც გამოირჩევა, რადგან მხოლოდ მებრძოლი მკვინთაუბითა დაკომპლექტებული. რაზმები სამხედრო დროის შტატებით არის დაკომპლექტებული, რითაც ეს ქვედანაყოფები საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სხვა სამხედრო ნაწილებსგან განირჩევიან.

საში რაზმი ლორიენტში, ორი ტულონში და ერთიც ჯიბუტიშია დისლოცირებული.

ომის აუცილებელი იარაღი და აღჭურვილობა ტულონის სამხედრო-საზღვაო ბაზის სამ საწყობოში ინახება და რაზმების დისლოცაციის ადგილებამდე უმოკლეს დროში მიტანას თვითმფრინავები უზრუნველყოფენ.



სპეცრაზმელები აუცილებელსამოი მოწაღებასაც გადიან

თითოეული რაზმის სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას მხოლოდ ექვსი საათი სჭირდება.

ამის შემდეგ რაზმებს ზომადღებით ან თვითმფრინავებით გადაიხვრიან სა-

მოქმედო რაიონში, სადაც ისინი ბრძანებიდან გამომდინარე, სპეცოპერაციათა მიუღ სპექტრს ასრულებენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ყველა თაოზის  
საყვეარელი გაზეთი  
1934 წლიდან





# ჩარლზ (კარლ) სტიუარტი

1720-1788

ჩარლზ სტიუარტი ინგლისისა და შოტლანდიის ტახტის პრეტენდენტი იყო. მან 1745 წელს შოტლანდიაში აჯანყება მოაწყო და ინგლისში შეიჭრა.

დაიბადა 1720 წლის 31 დეკემბერს რომში, ჯიშს სტიუარტის, ტახტის ძეული პრეტენდენტის ოჯახში. იგი დიდი რევოლუციის დროს უილიამ ორანელის მიერ გადაყენებული ჯიშს II-ის შვილიშვილი იყო. ჩარლზის მამამ არაერთხელ სცადა ტახტის დაბრუნება.

შეუერთდა სამხედრო ფლოტს, მაგრამ გრიგალმა 1744 წელს თითქმის ყველა ხომალდი იმსხვერპლა.

თუმცა საფრანგეთის მეფე ლუი XV-ს ხელი არ ჩაუქნევია. მან ჯიშს სტიუარტი შეაგულანია, თუკი ინგლისში შეიჭრები, ჯარსაც მოგაშველებს და სომარ აღჭურვილობასაცო. იმხანად ჯიშში უკვე 57 წლის იყო, ამიტომ კიდევ ერთ სამხედრო კამპანიაში ჩართვა აღარ სურდა ასაკის გამო, მაგრამ ბრიტანოაწიურებული 25 წლის ჩარლზი შოტლანდიის დასავლეთ ნაპირებს 1745 წელს მცირე ჯარით მიაღწა.

შოტლანდიის მალდოთიანეთში უკმაყოფილო საგვარეულოები მიემხნენ ჩარლზს, რომელსაც მეტსახელად ლამაში პრინცი ჩარლი დაერქვეს. 2000-კაციან კათოლიკეთა ჯარით ის ედინბურგის დასალაშქრად გაემართა, სადაც პოლიურდის, შოტლანდიელ მეფეთა სასახლის, აღუბა დისახა მიხნად. ინგლისის ჯარი უძალევე გამოეპასუხა, მაგრამ პრესტონპანის

მახლობლად პირველი იილი წარმატება მოიპოვა. ამის მერე 5000-იანი ჯარით ინგლისის შეუჭრია და დეკემბრისთვის უკვე დერბის უწია.

ჩარლზს იმედი ჰქონდა, რომ ინგლისელი კათოლიკეები მის დროშას მიიღებდნენ, მაგრამ ყველა დაბა-ქალაქი, სადაც კი მოუხდა გეგმა, მტრულად შეხვდა, მაგრამ საფრანგეთის მეფე ლუი XV-ისგან წაქეზებულს, რომელიც 12000-იანი ჯარის გაგზავნას დაპირდა, ხალხის განწყობა არაფერად ჩაუვდა.

საფრანგეთის გვირგვინოსანმა სიტყვა გატყა. ჩარლზს ლონდონზე იერიშის მიტანა მაინც სურდა, მაგრამ მისმა ჯარმა ინგლისის 30000-იან არმიასთან შეშმა ვერ გაბედა. ინგლისის ჯარები კი უკვე თავს იყრიდნენ. მისი შეიშების მტკიცებით თუკი ლუი XV არ მიაშველებდა მათ ჯარს, ან მოსახლეობა არ დაუჭერდა მხარს, ინგლისელებს ვერ გაუძლავდებოდნენ. ჩარლზი შოტლანდიას უხალისოდ უბრუნდა.

## ძრონოლოგია

- \* 1720 — დაიბადა 31 დეკემბერს რომში.
- \* 1744 — მონაწილეობს საფრანგეთის წარუმატებელ ლაშქრობაში ინგლისში.
- \* 1745 — შოტლანდიაში ჩაივდა და მთიელები ააჯანყა, აიღო ედინბურგი. გაიმარჯვა პრესტონპანისის ბრძოლაში. შეიჭრა ინგლისში.
- \* 1746 — დამარცხდა კალოდენთან ბრძოლაში. გაიქცა საფრანგეთში.
- \* 1766 — შამის გარდაცვალების შემდეგ კარლ III-ის სახელით მოიხსენიებდნენ.
- \* 1788 — გარდაიცვალა 31 იანვარს რომში.

## წარუმატებელი შეჭრა

როგორც კათოლიკურმა სახელმწიფომ, საფრანგეთმა სტიუარტის მხარდაჭერა გადაწყვიტა ინგლისის ტახტზე ასვლაში და 1743 წელს აუსტრიის მეცკვიდრობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ინგლისსა და საფრანგეთს შორის შუღლმა იჩინა თავი. საფრანგეთმა ინგლისში შეჭრა სცადა, ჩარლზიც

შოტლანდიის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ კალოდენასთან შოტლანდიელები ჩარლზ სტიუარტის სარდლობით ბრტანეთის სამთავრობა ჯარებთან დამარცხდნენ



**დაბარცხვა და გაქცევა**

ინგლისის ჯარის მორე ნაწილმა, რომელსაც კამბერლენდის პერცოგი სარდლობდა, ჩარლზს შოტლანდიაში წვდოა. ჩარლზის მცირეობისთვის ამაღლას შოტლანდიის მიუბამდე მოუწია უკან დახევამ, სადაც 1746 წლის აპრილში ფალკერკთან მცირე გამარჯვებას მიაღწია. ჩარლზმა გადაწყვიტა, უკან დაბრუნებულიყო და ინგლისის ჯარისთვის გადამწყვეტი ბრძოლა გამართა. ის კამბერლენდის პერცოგს ჩრდილოეთ შოტლანდიაში, კალოდენთან, მანანით დაფარულ ველზე შეხვდა 16 აპრილს. კამბერლენდის ჯარმა იაკობინელები დაამარცხა, ჩარლზს კი ბრძოლის ველიდან გაქცევა მოუწია.

მთელი ხუთი თვე იმალებოდა მთაში. ინგლისელებმა მისი თავი 30000 გინგანქა სტერლინგად შეაფასეს. ჩარლზი ტყვეობას ჯერ კიდევ შპორჩინილი ერთვით ითანამართლებდა დახმარებით გადაურჩა, რომელიც დამალვაზე უარს არ უბნებდნენ.

ჩარლზ სტიუარტმა იაკობინელი ფლორა მაკდონალდის დახმარებით ირლანდიელი მოახლე ბუტი ბერკის სახელით და ქალად გადაცემულმა კუნძულ სკაიზე გაქცევილი უშველა თავს. იქიდან კი ფრეგატ „იღბლიანი“ საფრანგეთში ჩავიდა.


ინგლისელებმა ფლორა ლონდონის ტაუერში გამოამწყვდიეს, თუმცა ერთ წელიწადში შეიწყალეს და გაათავისუფლეს.

ჩარლზ სტიუარტი ავინიონში დასახლდა, მაგრამ, როდესაც 1766 წელს ჯეიმზ სტიუარტი გარდაიცვალა, რომის პაპმა კლემენტ XIII-მ ინგლისთან ურთიერთობის გაუმჯობესება განიზრახა და ამიტომაც ჩარლზის მეფედ აღიარებაზე უარი განაცხადა.

ჩარლზმა კარლ III დაირქვა და ევროპაში ქალაქიდან ქალაქში გადამდიოდა. მარცხმა ერთ დროს თავმოქონებ პრინცი გააღივია. 1772 წელს ჩარლზ სტიუარტმა პრინცესა ლუიზა შტოლბერგ-გულენდერლი შვიითი ცოლად, მაგრამ შემკვიდრე არ შესძენია. 1788 წელს ჩარლზ უშვილოდ გადაეცო და სტიუარტების პრეტენზია ინგლისის ტახტზე ამით დასრულდა.

**პრესტიონანსის ბრძოლა**


● 1745 წლის 17 სექტემბერს პანოკერული გენერალი ჯონი კოუპი დუნბარში ჩავიდა 2500 შპორით მან პრესტიონანსთან შერაჩა ადგილი გასამარტობლად, რომელიც ილაქური პოზიცია უნდა მოელოდყო, რად-



**ივანე ჯავახიშვილის**  
მთავარი ლაზაროვარი თაყვისი კაპუცინოსი  
„ქართველი ერის ისტორია“  
5 - ტომად

თავის პირველი  
კვირის პალიტრასთან - ბრძოლა  
**26 ნოემბრიდან -**  
**26 დეკემბრამდე**  
IV ტომი


...ყოველი განათლებული ეროვნებისთვის...  
საჭიროა იწოდეს თავისი ნაწილი...  
უტყუარი, გუმარტივი ისტორია და არა  
გაზვიადუნული, ყლბი.



**პირველად!**  
60 წლის ვაიბი!

**სრული მისია**

მთავარი სასაბუკარი ზარი. 9 ლარი  
ბაზალთის ბრძოლა. 10 ლარი




ინგლისი ადგილია მისიანი - **ქალაქი** ტალ. 2 38 26 73; 2 38 26 74; 2 38 26 76 [www.elva.ge](http://www.elva.ge)

გან მარჯვნიდან ქვის ორი კვლით, მარცხნიდან — ჭაობნარიო, უკნიდან წვლითა და წინიდან თხრანდობით გარ-შემოტრტმული იყო. გარდა კარგად აღჭურვილი მეთობისა, ძლიერი არტილერიაც ჰქონდა, იაკობინელებს კი არაფერი გაანჩნდა, როცოც კი ბრძოლა დაიწყო, არტილერია მთიელები უფრო გააღიზიანა, კოუპის თვდაცვაში პოზიცია კი ზაფანგი აღმოჩნდა. იაკობინელები შეხინდებულზე ჩაერთვნენ ბრძოლაში. პირველფე თხუთმედი წუთში კოუპმა დაახლოებით 350-500 კაცი დაკარგა. 1400 მეოღობით ტყვედ ჩაგარა, მათგან 900 დიჭრა. კოუპთან ერთად ორასიოდე ჯარისკაცმა თავს გაქცევილი უშველა. იაკობინელთაგან მხოლოდ 40 ჯარისკაცი შექწირა მტრის ტყვიას, 75 კაცი კი დაიჭრა. მათ დიდძალი ფულეც დარჩათ ინგლისში შესატრელოდ.

● 1746 წლის 17 იანვარს, ფალკერკის ბრძოლისას, ცუდი ამინდი იდგა. 8000 მანოერულს ამდენფე იაკობინელებმა დაბარისბორებამ კოცისბორულ წვიმასა და ქარაშორში მოუწიათ. არტილერია ჭაობში ჩაფელო, ამიტომ კავალერიამ ბორცვზე აცოცება ამჯობინა. ისინი ოციოდე წუთში გატყვნენ. შეტაკებაში 420 იაკობინელი დაეცა, 80-მდე დაიჭრა. მაგრამ დიდი ინგლისური სამხედრო შენაერთი უკვე გზაში იყო, ამიტომ კარლმა ისე გაქცევა გადაწყვიტა.

მოამზადა  
**ლევან ინასარიძემ**

**ქვეყნული** №24 ნოემბერი, 2012 **41**



რულდეს ამოსუნთქვისას, ანუ ანტი-აუცილებელი, შეესოთ და დაცლით მუცელი პაერთი ყველა მოძრაობის დროს. ჩასუნთქული და ამოსუნთქული პაერის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციით. მაგალითად, როდესაც ამუშავებთ მიზანში დარტყმას, შესრულებამდე შეისუნთქეთ რაც შეიძლება მეტი პაერი, შემდეგ დაარტყით ხუთჯერ, ამოუშვით პაერის ნაწილი ყოველი დარტყმის დროს. ერთხელ ჩასუნთქული პაერი ათ დარტყმას უნდა ყვოს.

**ბრძოლაში კონტროლი**

პირველად ისწავლეთ სხეულის იმ ნაწილის შეკრძნება, რომელიც ილით ასრულებს. თავდაპირველად გააკეთეთ ეს ნელი მოძრაობის დროს, შემდეგ კი დაოსტატებასთან ერთად ეცადეთ, შეიგროსოთ

**საბრძოლო სელოვნების ფიზიკური და ფიზიოლოგიური პრინციპები**

**სუნთქვა**

გარემოს დროს გამოუცდელ და დამწყებ სპორტსმენს სუნთქვა კეერის ამის დაძლევა შეიძლება, თუ დავეუფლებით სუნთქვის „დაწყებას“ ჭიპამდე, რაც საშუალებას მოგვცემს, ვისუნთქოთ ნორმალურად მკვეთრი და სწრაფი მოძრაობის დროსაც. პრაქტიკა ახდენს მოქმედებისა და სუნთქვის შეთანხმებას. ამას ეხელაუთ საბრძოლო ხელოვნების ყველა სახეობაში. მიუხედავად სწორ სუნთქვას და დაეარეულირით იგი ნელი და სწრაფი მოძრაობის დროს. ჭამის დროს გაუცნობიერებლად გახდნით სუნთქვის რეგულირებას. ასეთივე სუნთქვას უნდა მიუყვებით საბრძოლო ხელოვნებაშიც. დამწყებმა სპორტსმენმა არ უნდა ინერუფულოს ამის გამო, თანდათან და ბუნებრივად მიადწეეს ამას. საბრძოლო ხელოვნებაში სუნთქვის დროს პაერი შეისუნთქება მუცლის ქვედა ნაწილით მზადყოფნის დროს დრმად ჩაისუნთქეთ ცხვირით, დაიწვიეთ მუცლის

ყველაზე ქვედა ნაწილიდან. გულმკერდ ან არის დერეფანი, მისი საშუალებით პაერი მუცლის ქვედა ნაწილში უნდა შევისუნთქოთ უნდა ამოვისუნთქოთ პირით, იმავედროულად, დაბლა დასწიეთ კუცის ზედა კუნთები, ასე რომ, მუცლის ქვედა ნაწილი რჩება მაგარი, მომრგვალებული და პაერის ნაწილი ჩერდება ჭიპაში. პროგრესის მიხედვით შეძლებთ შეისუნთქოთ პაერი დაბლა და დაბლა და შეაკეთოთ ამოსუნთქვის დროს უფრო დიდხანს. ამ საერაჯიშოებით გაიმდიერებთ მუცლის კუნთებს, ხოლო წვივის კუნთები გახდება უფრო მკვერივი და მაგარი. ერთ დღეს აღმოაჩენით, რომ თქვენი მოძრაობები გახდება უფრო ზუსტი და ძლიერი, რეაქცია მოწინააღმდეგის მოძრაობაზე გაიზრდება.

სუნთქვა შეთანხმებული უნდა იყოს საბრძოლო ხელოვნების ყველა მოძრაობასთან. პირველხარისხისი და აუცილებელი წესი: არ გააკეთოთ აგრესიული მოძრაობა ჩასუნთქვის დროს. ყველა ბლოკი და დარტყმა უნდა შეს-

და აკონტროლოთ სხეულის ყველა ნაწილის მდგომარეობა მოძრაობის ყველა ფაზაში. ეს არის თავისებური მედიტაცია, რომელიც ავითარებს განსაზღვრულ თავისებურებებს, აუცილებელს საბრძოლო ხელოვნებაში. სათანადო პრაქტიკის შემდეგ გრძნობით კონტროლი გახდება სპონტანური და ეს თავისუფლებს განიხილავს ზედმეტი დატვირთვისაგან.

**ბლოკირების მთავარი ფაქტორები**

იმისათვის, რომ ძლიერი და ფეექტური ბლოკირება გააკეთოთ, მუდმივად ძალა წაშლი უნდა კონცენტრირდებოდეს მზრის სახსარში. ამ ძალის სიდიდე დამოკიდებულია სხეულისა და იდაყვის ურთიერთკავშირზე. თუ იდაყვი ვაწყველია შორს სხეულისაგან, ბლოკი სუსტი იქნება. მაგრამ, თუ იდაყვი ძალიან ახლოს არის სხეულთან, მაშინ ბლოკის მოქმედების სიმოწე მცირდება, რაც ასევე არ არის მომგებანი. იმ ხელის იდაყვი, რომლითაც ბლოკირე-

ბას აკეთებთ, გეჭირთ სხეულისაკარგავეულ მანძილზე — არც ძალიან შორს და არც ძალიან ახლოს. ატრიალეთ ორივე ხელის მკლავი მკვეთრად, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ძალის ეფექტური კონცენტრირებისათვის მკლავში. ორივე ხელი მოძრაობს ერთნაირი სისწრაფით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირდევკა კუნთების პარმონიული მოქმედება, როგორც დარტყმის, ასევე ბლოკირების დროს მნიშვნელოვანია გრძობითი კონტროლი. შეივრძენით ყველა კუნთის მოძრაობა, მთელი სხეულის მდგომარეობა. განა-

ვითარეთ ეს გრძობა, ის დიდ როლს თამაშობს საბრძოლო ხელოვნების მაღალი საფეხურების დაუფლებაში.

**ალბია მმრკვაშვილი**  
შოტლანდ კარატე-დოს ტექნიკური ოსტატი, შვეი ქაშრისა და I დანის მფლობელი

## სივი იარაღის მოგერიების ტექნიკა



1. ვეღვებით მარცხნივ და მარცხენა ხელით უპაკვებით მავას



2. მარცხენა ხელით უპან ვშვით მოწინააღმდეგვის მავას, მარჯვენა ხელით კი ვავვებით მის იღავს



3. მარცხენა ხელით უპან ვშვით მოწინააღმდეგვის მავას, მარჯვენა ხელით კი მის იღავს ვავვებით ქამომღას



4. მოწინააღმდეგვს ვავღვით პირს და ვართვებით ღანას





# საბავარი ავიასია

გაერძელება. დასაწყისი იხ.  
„არსენალი“ N17-23, 2012

„შურისმაძიებლის“ მარცხიანი საბრძოლო ნათლობა ატოლ მძიდუესთან შედგა. იაპონურ ესკადრანზე შეტყუას 6 თვითმფრინავიდან მხოლოდ 1 გადაურჩა.

თუმცა, Avenger-ის შემდგომი კარიერა წარმატებით განვითარდა და წყნარ ოკეანეზე მის გარეშე არც ერთ ოპერაციას არ ჩაუკვლია.

**„ვენჯერთან“ არის დაკავშირებული XX საუკუნის ერთ-ერთი გახმაურებული ამბავი. 1945 წლის 5 დეკემბერს ბერმუდის სამკუთხედის რაიონში სასწრაფო ფრენისას ხუთი „ვენჯერი“ უკვალოდ დიკარგა. გაუჩინარების წინ ეკიპაჟებისგან ორიენტაციის დაკარგვის შესახებ შეტყობინება მოვიდა, ხოლო სამძებრო-სამაშველო სამუშაო ნაყოფი არ გამოიღო. დღესაც ეს ამბავი ბურუსით არის მოცული.**

ამერიკელებმა „შურისმაძიებლები“ წყნარი ოკეანის გარდა ატლანტის ოკეანეში გერმანულ წყალქვეშა ნაუბთან ბრძოლასა და ხმელთაშუა ზღვაში, კრძოლდ, ჩრდილო აფრიკაში, მოკავშირეთა დუსანტირებისას გამოიყენეს.

1943 წლისთვის ატლანტიკაში გერმანული სუბმარინებისგან მოკავშირეთა ზარად კატასტროფულად გაიზარდა და თებერვალში ტონაჟის დანაკარგმა 600 თას ტონას გადააჭარბა.

გერმანელები ბრიტანული სახმელეთო თვითმფრინავების მოქმედების არეალის გარეშე ცენტრალურ ატლანტიკაში მოქმედებდნენ, ამიტომაც აშშ-ში სატვირთო ვეჟების მთელ მარშრუტზე გასაცილებლად ახალი კლასის

ხომალდი — საესკორტო ავიამზონდი შეიქმნა.

შედარებით მცირე ზომის ხომალდებზე Avenger-ისა და Wildcat-ის ტიპის 20-28 თვითმფრინავი ბაზირებდა.


გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო Avenger-ებს მაქსიმალურად ამსუბუქებდნენ (ჯეჟმანს და ტყვიამფრეკეებსაც ხსნიდნენ), ბომბნაკვეთურში კი დამატებით საწყვიის აუზებსა და ოთხ 160 კგ-იან ხიდრმულ ბომბს ათავსებდნენ. ასეთნაირად მოდიფიცირებული თვითმფრინავი პაერში 8-10 სთ-ს დაფრინავდა. ომის დასრულებამდე „შურისმაძიებლებმა“ 27 გერმანული სუბმარინა ჩაძირეს.

ბრიტანელებს ამერიკული ტორ-

პედზონდი იმდენად მოეწონათ, რომ ვაშინგტონის მისი ლენ-ლიზით მოწოდება სთხოვეს და ერთსულენად აღიარეს, რომ ამერიკული Avenger-ი მათი ავიამზონდიდან მოქმედი ყველაზე ეფექტური თვითმფრინავი იყო.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, აშშ-მა „შურისმაძიებლების“ მოწოდებაზე ყველა კონტრაქტი გააუქმა. თუმცა, საზღვაო ქვეითთა კორპუსისა და ფლოტის შეიარაღებაში 1954 წლამდე დარჩა. შეიარაღების დიდი ნაკვეთი თვითმფრინავს დიდ სამოღერწნავიო პოტენციალს ანიჭებდა. Avenger-ის ბაზაზე შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის TBM-3W და წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო TBM-3S ვარიანტებზე შეიქმნა.

**წარუმატებელი დეპიუტის მიუხედავად, ამერიკელებს „ვენჯერის“ გარეშე არც ერთი ოპერაცია არ ჩაუტარებიათ ფლოტზე გამოსახული თვითმფრინავები მორიგ დეპიუტებზე გასაფრენად ემზადებიან**





ამერიკელებთან ერთად ბრიტანელი პილოტებიც ერას-ულფენად „ვენჯერს“ საუკეთესო დამტრეყელ თვითმფრინავად მიიჩნევენ



ომის დროს „ვენჯერის“ ერთ-ერთი ბილოტი აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი იყო. 1944 წლის 2 სექტემბერს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ბუში ერთადერთი იყო, ვინც გადაარჩა

რომლებსაც საპაერო მხარდაჭერას აუიამზიდეუბი „სეკაკუ“, „ოქიკაკუ“ და „რიუჟი“ უზრუნველყოფდნენ. ამერიკელებმა მოახლოებული საფრთხე ღრულად დადგინეს და დასახმარებლად პერლ-ჰარბორიდან აუიამზიდე „ჰორნეტა“ გადმოიყვანეს. ამერიკიდან გუადალკანალს ამერიკული სამი აუიამზიდე და საგემბანო 256 თვითმფრინავი იცუდა. 1942 წლის 23 აგვისტოდან ამე-

მოდიფიკაცია — TBM-3 Avenger

- სიგრძე — 12,16 მ
- ფრთის გაქანი — 16,51 მ
- ცარიელი თვითმფრინავის წონა — 4783 კგ
- მაქს. ასაფრენი — 8115 კგ
- მრავა — 1X1900 ცხ.ძ
- მაქს. სიჩქარე — 442 კმ/სთ-ში
- მოქმედების საბრძოლო რადიუსი — 463 კმ
- ეკიპაჟი — 3 კაცი
- შეიარაღება — სამი 12,7 მმ-იანი და ერთი 7,62 მმ-იანი ტრევიამფრტქევი, რვა 127 მმ-იანი უმართავი რაკეტა, ერთი ტორპედი ან 907 კგ-მდე ბომბი

კორეის ომის შემდეგ, თვითმფრინავმა სატრანსპორტო ფუნქციებიც შეითუგა. ტყეად ბომბანკეიურში ჩამოკიდებულ საპეციალურ კალათებში აუიამზიდეებზე საჭირო ტვირთი გადაკქონდათ.

### სოლომონის კუნძულები

მიდუეისთან დამარცხების შემდეგ, წყნარ ოკეანეში იაპონელების მთავარ ფორპოსტად გუადალკანალი და სოლომონის კუნძულები იქცა. 1942 წლის 7 აგვისტოს ამერიკელებმა გუადალკანალი დაბომბეს და საზღვაო დესანტიც გადასახეს. მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ამერიკელმა საზღვაო კვეითებმა კუნძული მშენებარე აეროდრომთან ერთად დაიკავეს.

დაკარგული პოზიციის დასაბრუნებლად იაპონელებმა 1500 კაცი და 5 სადესანტო ხომალდი მოაშადაეს,



იაპონიასთან ომში აშშ-ს წარმატება მღვირმა ეკონომიკამ მოუტანა



მოდიფიკაცია — SBD-5 Dauntless

- სიგრძე — 10,09 მ
- ფრთის გაქანი — 12,66 მ
- ცარიელი თვითმფრინავის წონა — 2905 კგ
- მაქს. ასაფრენი — 4853 კგ
- ძრავა — 1x1200 ც.ხ.ძ
- მაქს. სიჩქარე — 410 კმ/სთ-ში
- ფრენის მანძილი — 1795 კმ
- ეიპაჟი — 2 კაცი
- შეიარაღება — ორი 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკვევი, 1020 კგ-მდე ბომბი

რიკლები რეგულარულ სადაზვერეო ფრენებზე გადავიდნენ. იაპონელებმა ეს იცოდნენ და ეშმაკობას მიმართეს, — სამი საესკორტო ხომალდის თანხლებით წინ ავიამზიდი „რიუჟე“ გაუმყვს. ჩანაფიქრით მას სატყუარას როლი უნდა ეთამაშა და პირველი დარტყმა მიეღო, ხოლო დარჩენილი ორი ავიამზი-

„ვენჯერთან“ ერთად, მნიშვნელოვანი როლი მიღუეისთან ბრძოლაში SBD Dauntless-ის ტიპის მოპოკირე ბომბდამშენმა შეასრულა. ამერიკული ავიამზიდების გემბანზე თვითმფრინავი ჯერ კიდევ 1940 წელს გამოჩნდა.

SBD-ს გამოცდის დაწყებისთანავე, საზღვაო ქვეითთა კორპუსმა 150 თვითმფრინავი დაუკეთა. თუმცა, ფლოტის ხელმძღვანელობა მოპოკირე ბომბდამშენის ტიპის თვითმფრინავებს მაინც სკეპტიკურად უყურებდა. თავისი მოსაზრება გენერალიტეტმა მხოლოდ საფრანგეთის დაცემის შემდეგ შეიცვალა, სადაც ფრანგული არმიის დამარცხებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი გერმანულმა მოპოკირე JU-87-ებმა შეასრულეს. ამის შემდეგ Dauntless-ის შეკვეთები ერთი-ორად გაიზარდა. ავიამზიდების ავიაფრთვებში კი მაიხი როლი გაფართოვდა.

ბეგრი ნაკლის მიუხედავად (ძრავის არასაკმარისი სიმძლავრე, დაბალი სამანევრო შესაძლებლობები), თვითმფრინავი მფრინავებში საიმელოობის გამო დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ომის ბოლომდე 5936 Dauntless-ი გამოიშვეს.

დის თვითმფრინავები კი ამერიკელთა პოზიციებს შეუტევედა.

იაპონელების სატყუარამ გაამართლა და მწვერავმა „კატალინამ“ ავიამზიდი „სარატოვის“ 30 მოპოკირე ბომბდამშენი SBD და 8 ტორპედოზიდი TBF ავიამზიდი „რიუჟე“ გაიყვანა, რომელსაც 2 ტორპედო და 10 ბომბი მოხვდა

**იაპონური ბომბებისგან დაზიანებული „ენტერპრაიზის“ გემბანი**



და ჩაიძირა. ამერიკული ესკადრა განადგურებულის დაცვის გარეშე დარჩა. ძლიერი საზენიტო ცეცხლის მიუხედავად, ავიამზიდი „ენტერპრაიზის“ სამი ბომბი მოხვდა. განადგურდა ორი ელექტრონი (ლიფტი, რომლითაც თვითმფრინავები გემბანზე ამოჰყვით). ერთმა ბომბმა ორი გემბანი ჩაანგრია და ხომალდის სიდრემ-ში აფეთქდა, რამაც საზენიტო არტილერიის საბრძოლო მასალის საცემში დეტონაცია გამოიწვია. ავიამზიდი ცეცხლში გაქვია, მაგრამ ხელა არ დაკარგა და სამშველო ბრიგადებმა ხანძრის კრების ლოკალიზება დროულად შექლეს.

იაპონელთა გეგმა ჩაფლავდა. ჩაძირულ „რიუჟეს“ გარდა, მათ საესკადრო ნაღმოსანი და 56 საგემბანი თვითმფრინავი დაკარგეს.

მთორედ დღეს აშშ-ის 25-მა მოპოკირე ბომბდამშენმა იაპონური სატრანსპორტო ხომალდი ჩაიძირა და გუადალკანალზე გადასვლა გადაიღო. ამერიკელების დანაკარგი მხოლოდ „ენტერპრაიზის“ მძიმე დაზიანებით შემოიფარგლა.

*ალექსანდრე ავაძიძე*

(გარემოლება შემდეგ ნომერში)

# კუბიდან გიკთველი რაკეტების გაზანთ საქართველომაც იხილა

50 წლის წინ მთელი მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშე იდგა, სანამ კუბიდან – აშშ-ზე, ხოლო თურქეთიდან საბჭოთა საქართველოზე დამიზნებული ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტები მოსკოვმა და ვაშინგტონმა არ გაიტანეს.

1962 წლის 14 ოქტომბერს აშშ-ის საღაზვერუო თეთიშფერინავმა U-2-მა კუბის ტყეებში აღმოაჩინა სარაკეტო დანადგარები – ამერიკა, პირველად ისტორიაში, პირდაპირი დარტყმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

რამდენიმე თვით ადრე კი ბრუშლოვის ბრძანებით დაიწყო ზესაიდუმლო ოპერაცია „ანადირი“, რომელიც კუბაში საბჭოთა ბირთვული ბალისტიკური რაკეტების განთავსებას თვალისწინებდა. ამერიკელების „გამოიფხინზღებამ“



– 1961 წელს თურქეთის ქალაქ იზმირის გარშემო ხუთ პოზიციაზე აშშ-ებმა PGM-17 Jupiter-ის ტიპის 15 ბალისტიკური რაკეტა განათავსა. თითოეულ რაკეტას 144 მეგატონის ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის ერთი ბირთვული ქობინის გადატანა მაქსიმალურ 2400 კმ-ზე შეუძლია. მისი მოქმედების რადიუსში მოსკოვიც შედგება, თუმცა ერთი-ორი „იუპიტერის“ სამიზნეს თბილისიც წარმოადგენდა, სადაც მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 3აკბო-ს შტაბი და სხვა სტრატეგიული პუნქტები იყო განთავსებული. „კარიბის კრიზისის“ დამთავრების შემდეგ ცოტა ხანში, კუბიდან საბჭოთა P-12 და P-14 ტიპის ბალისტიკური რაკეტების გამოტანის სანაცვლოდ აშშ-ებმა თურქეთიდან ვველა „იუპიტერი“ გაიტანეს.



დღე“ საბჭოთა სამხედროებმა კუბაში 40-მდე საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტა P-12 და P-14 განალაგეს, რომელთა ბირთვული ქობინების ერთიანი აფეთქების ძალა 700 მეგატონი ტროტილის ეკვივალენტს უტოლდებოდა!

ასეთი სახითაო გადაწყვეტილებმა ბრუშლოვმა შემიზნებულ რიდი მიიღო, იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი დიდად ჩამორჩებოდა როგორც ბირთვული რაკეტების, ისე მათი მოქმედების სიშორით ამერიკას, ანუ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ისინი ვერ სწევდოდნენ ჩრდილო ამერიკის კონტინენტს. ამიტომაც ბრუშლოვმა გადაწყვიტა, კუბა ერთგვარ „ჩაუძირავ ავიამზიდალ“ გამოიყენებინა და იქიდან დამუკრებოდა შეერთებული შტატების უსაფრთხოებას – კუბიდან საბჭოთა ბირთვული რაკეტები მისწვდებოდნენ ვაშინგტონს,

ნიუ-იორკს და, რაც მთავარია, სტრატეგიული მნიშვნელობის პანამის არხს.

50 წლის წინ დაძაბული მოლაპარაკების შედეგად, საბუნდოვროდ, ვველაფერი მშვიდობიანად მოვკარდა, – მოსკოვმა გამოიტანა თავისი რაკეტები კუბიდან, ხოლო ვაშინგტონმა მოუსხსნა ბლოკადა „იუპიტერების კონტოლს“.

თუმცა, მაშინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც მაინცდაპირინც არ გაუხმაურებიათ, – ჰერტაგონმა ბირთვული ბალისტიკური რაკეტა „იუპიტერები“ თურქეთიდანაც გაიტანა.

სწორედ ეს რაკეტები უმზინებდნენ საბჭოთა კავშირის სამხრეთ ფლანგს და უპირველესად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ მსხვილ სტრატეგიულ პუნქტებსა და სამხედრო

ობიექტებს. „იუპიტერების“ და უფრო მცირე რადიუსის ამერიკული ბირთვული რაკეტების სამიზნეში იყო თბილისიც, როგორც უდიდესი მნიშვნელობის საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ცენტრი.

როგორც ხედავთ, ამქვეყნად ვველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, – ერთი შტუდეთი სორეული კუბაში მიმდინარე მოვლენები ნაკლებად უნდა შეხებოდა საქართველოს, მაგრამ კუბიდან საბჭოთა ბირთვული იარაღის გამოტანას მოჰყვა ანალოგიური მომაკვდინებელი იარაღის ლიკვიდირება ჩვენს სამხრეთ საზღვრებთან, რამაც შეანელა ის საფრთხე, რომლის ბაიბურშიც არ იყვნენ იმდროინდელი საქართველოს მოქალაქეები.



# მარნეულიდან განსოცხიელაგული საჰაერო ტარანი

## მარნეულის სამხედრო აეროდრომს, როგორც დღეს ქართული სამხედრო ავიახიის მთავარი ბაზაა, 70-წლიანი საინჟინერო ისტორია აქვს

მარნეულის სამხედრო აეროდრომის შესახებ თითქმის მთელმა მსოფლიომ 2008 წელს აგვისტოს ომის დროს შეიტყო, როდესაც ის რუსულმა მოიერიშეებმა და ბომბდამშენებმა სამჯერ დაბომბეს.

არადა, ათწლეულების განმავლობაში მოსკოვი სამხრეთ მიმართულებით საბჭოთა საზღვრის საპაერო სფეროს დასაცავად დიდ იმედს სწორედ მარნე-

ულის აეროდრომზე (რომელსაც სანდარსაც უწოდებენ) ამყარებდა, რადგან ამ აეროდრომზე განთავსებული გამანადგურებელ-გზაგადამჭერი საბრძოლო თვითმფრინავების პოლიკი ძალზე ახლოს იყო NATO-ს წვერი თურქეთის საზღვართან.

მარნეულის სამხედრო აეროდრომის ისტორია გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება, როდესაც აქ განთავ-

სდა მძიმე ბომბდამშენების მე-6 საჟაიაციო პოლიკი, რომელიც წითელი არმიის 132-ე ბომბდამშენთა საჟაიაციო დივიზიაში შედიოდა. 1941 წლამდე მარნეულის აეროდრომზე, რომელსაც მაშინ მიწის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი ჰქონდა, **ДБ-3** ტიპის ბომბდამშენები ბაზირებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მარნეულში ბომბდამშენები გამანად-

მარნეულის სამხედრო აეროდრომის კოსმოსური ფოტოსურათი. აეროდრომის ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 2,5 კმ-ს, ხოლო სიგანე კი 40 მ-ს შეადგენს





1941 წლამდე მარნეულში ДБ-3 ტიპის ბომბდამშენები იყო განთავსებული



გურბულმა თვითმფრინავებმა ჩანაცვლეს. ამ დროს მარნეულში იდგა 26-ე საჰაიაციო პოლკი, რომლის შეიარაღებაში იყო IlAf-3 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები, რომლებსაც იმ დროს თბილისის საჰაიაციო ქარხანა სერიულად აწარმოებდა.

აშშ-იდან საბჭოთა კავშირისთვის ლენდ-ლოზის პროგრამით შეიარაღების მიწოდების დაწყების შემდეგ მარნეულის სამხედრო აეროდრომზე გამოჩნდნენ ამერიკული წარმოების P-39 Airacobra-ს ტიპის გამანადგურებლები და P-40D Kittyhawk-ის ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენები.

ეს პოლკი მარნეულში 1946 წლამდე იდგა და უნდა ვეგრავოდით, რომ მისი მთავარი ამოცანა თბილისის საჰაერო სერვისის სამხრეთი, თურქეთ-ირანის მიმართულებიდან დაცვა გახლდათ.

1946 წელს მარნეულში გამანადგურებლები 173-ე მოიერიშე საჰაიაციო პოლკის, Il-10 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა ჩანაცვლეს, თუმცა, მათ იქ მხოლოდ ორი წელი დაჰყვეს.

1948 წელს მარნეულში 188-ე ბომბდამშენთა საჰაიაციო დევიზიის 650-ე ღამის ბომბდამშენების საჰაიაციო პოლკი გამოიწვია Ty-2 ტიპის ბომბდამშენებით. მალე სწორედ ამ პოლკმა შეიძინა მარნეულში პირველი რეაქტიული თვითმფრინავებიც — ორმაგიანი Il-28 ტიპის ბომბდამშენები.

სხვათა შორის, ამავე დევიზიის კიდევ ერთი, 373-ე პოლკი კილის მიდამოებში იყო განთავსებული და ანალოგიური ბომბდამშენებით დაირადა. დღეს, აღბაო, ძნელი წარმოსადგენია, რომ 50-ზე მეტი წლის წინ კოდაში აეროდრომი იყო, საიდანაც თურქეთის ტერიტორიის დაბომბვაც კი შეიძლებოდა.

1954 წელს მარნეულის აეროდრომი ითიქოს ძველ დროს დაუბრუნდა და მის ახაფრენ-დასაფრენ ბილიკს ისევ Il-10 ტიპის შიდაწესისრაიანი მოიერიშეები დაეპატრონენ, რომლებიც 166-ე საჰაიაციო პოლკს ეკუთვნოდნენ. თუმცა, ეს პოლკი მალე MiG-15; ტიპის რეაქტიული გამანადგურებლებზე გადავიდა.

ამით დამთავრდა სხვადასხვა საჰაიაციო პოლკის მონაცვლეობა მარნეულის სამხედრო აეროდრომზე და 166-ე პოლკმა მარნეულში 1993 წლის 3 იანვრამდე, თავისი არსებობის დასასრულამდე გაძლო.

50-იანი წლების შუახანებიდან 80-იანი წლების ბოლომდე 166-ე საჰაიაციო პოლკის შეიარაღება მუდმივად იცვლებოდა: MiG-15-ებს MiG-15bis-ები მოაყენენ, რომლებიც შემდეგ MiG-17-ებმა

ჩანაცვლეს, ისინი კი, თავის მხრე, ჯერ გზაგადამჭრელ-გამანადგურებელმა Cy-15-ებმა შეცვალეს, რის შემდეგაც პოლკის მურინავეები რამდენიმე წლით Cy-17M3 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენებზე გადასეს, მაგრამ მალევე მოიღრნისებულ Cy-15TM-ებზე დააბრუნეს.

1955 წელს 166-ე გამანადგურებელი საჰაიაციო პოლკი, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗаКВО-ს 34-ე საჰაერო არმიაში შედიოდა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების შემადგენლობაში გადაიყენეს

და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ამიერკავკასიის კორპუსის 118-ე გამანადგურებელი საჰაიაციო დევიზიის დაუქვემდებარეს.

სხვათა შორის, ამავე დევიზიის 167-ე გამანადგურებელი პოლკი 50-იანი წლების ბოლოს მასინდელ წულუკიქებში (ხონი) ბაზირებდა, სანამ შეეუღლებოდათ პოლკმა არ ჩანაცვალა.

მარნეულის პოლკის MiG-15-ებსა და MiG-17-ებს ყველებოდათ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უზრუნველყოფა სამხრეთ მიმართულებათ.



მარნეულს ცოტა ხნით Il-10 ტიპის მოიერიშეებიც სტუმრობდნენ



**მეორე მსოფლიო ომის დროს მარნეულის სამხედრო აეროდრომიდან საბჭოთა IAIГ-3-ის, ამერიკული P-39 Airacobra-ს და P-40 Kittyhawk-ის ტიპის გამანადგურებლები დაფრინავდნენ**

60-იანი წლების დასაწყისში, ზრუმწიფის მმართველობისას, პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის ამიერკავკასიის კორპუსი პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის ბაჲოს ოლქს შეუერთეს და საჰაერო თვდაცვის მე-14 კორპუსის სახელი მიაწიჭეს.

ორი ათეული წელი მარნეულის პოლკი წმინდა საჰაერო თვდაცვის ამოცანებს ასრულებდა ომ დროისთვის თანამედროვე Cy-15 ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი ზებგერითი თვითმფრინავებით სანამ 1980 წელს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ბრძანებით 166-ე პოლკი პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის ძალებიდან ისევე ზაკბო-ს 34-ე საჰაერო არმიას არ დაუბრუნეს, როგორც 50-იანი წლების ბოლოს იყო.

შესაბამისად, შეიცვალა პოლკის შეიარაღებაც, თუკი მანამდე მარნეულელები ორბრავიანი Cy-15-ების აფრენის

# მსოფლიოში რეაქტიული თვითმფრინავებით ორივე საჰაერო ტარანი ვაზიანიდან და მარნეულიდან განსორციელდა

მსოფლიო ისტორიაში, მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებაში რეაქტიული ზეგერითი საბრძოლო თვითმფრინავები გამოჩნდა, სულ ორი საჰაერო ტარანი განსორციელდა.

ორივე შემთხვევაში საჰაერო ტარანზე საბჭოთა პილოტები წვიდნენ და ორივე მათგანი საბჭოთა საქართველოს აეროდრომებიდან აფრინდა: პირველი - ვაზიანიდან, მეორე კი მარნეულიდან.

1973 წლის 28 ნოემბერს ვაზიანის სამხედრო აეროდრომიდან MiG-21CM ტიპის გამანადგურებელი აფრინდა 982-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის კაპიტანი გენადი ელისევი, რომელსაც ფალებოდა ირანის მხრიდან საბჭოთა სერცეში (აზერბაიჯანის მონაკვეთზე) საჰაერო დამრღვევის აღმოჩენა და ჩამოგდება.

საჰაერო დამრღვევი ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი ამერიკული წარმოების F-4 PHANTOM 2 აღმოჩნდა, რომლის წინა კაბინაში



F-4 PHANTOM 2



МиГ-21СМ

ბა დაევიწყდა კიდევ მისი არსებობა, რადგან მის პოლკში მხოლოდ ეს ერთი გამანადგურებელი იყო შეიარაღებული ქვეშეთი. დაეალებს შესრულების მიზ-

ნა მიზნებს და 16-დღიანი პატიმრობის შემდეგ ისინი ირანში დააბრუნეს.

1981 წლის 18 ივლისს საჰაერო ტარანი გაიმეორა მარნეულის აეროდრომიდან აფრინილმა კაპიტანმა ვალენტინ კულაბინამ. 166-ე საავიაციო პოლკის პილოტს დაეალებს, აღმოეჩინა და ჩამოეფლო საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი, რომელიც თურქიდან თელ-ავეში მიფრინავდა. ეს იყო კანადური წარმოების ოთხნავიანი CL-44 ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელიც არგენტინულ ფირმას ეკუთვნოდა. კაპიტანი კულაბინი საზღვრის დამრღვევ თვითმფრინავს სომხეთის თაზე დაქა და ანიშნა, აეროდრომზე დამჯდარიყო. სატრანსპორტო თვითმფრინავის ეკიპაჟმა ისევ საზღვრის გადაკვეთა და თურქეთის საჰაერო სერცეში დაბრუნება განიზაზხა. პილოტმა ვედარ მოახერხა რაკეტების გაშვება, რადგან სატრანსპორტო თვითმფრინავთან ძალიან ახლოს იყო და თავისი Cy-15-ის ფეხსეკავით CL-44-ის კუდს სპეციალურად დაექაზა. დაზიანებული ორივე თვითმფრინავი დაზიანდა და ჩამოვარდა. კაპიტანმა კულაბინმა მოასწრო კატაპულტირება და გადარჩა, ხოლო არგენტინული თვითმფრინავი სომხეთში, მთებში დაეცა და მისი ეკიპაჟის ოთხივე წევრი დაიღუპა.



Cy-15



CL-44

ირანელი, ხოლო უკანაში კი ამერიკელი პილოტები ისხდნენ. საჰაერო ბრძოლა საქართველოს თაზე გაიმართა. ელისევიმა „ფანტომისკენ“ P-3 ტიპის ორი „პაერა-პაერი“ კლასის მართავდა რაკეტა გაუშვა, მაგრამ აცვალა. მან რატომღაც არ გამოიყენა საავიაციო ქვეშეთი, ერთ-ერთი ვერსიით, შეიძლე-

ნით კაპიტანმა ელისევიმა რეაქტიული თვითმფრინავით მსოფლიოში პირველი საჰაერო ტარანი განსორციელდა და ჩამოაგდო „ფანტომი“, თუმცა, ტარანის შემდეგ მისი თვითმფრინავი მთას შუეჯაზა და იგი დაიღუპა. ჩამოგდებული „ფანტომიდან“ ირანელმა და ამერიკელმა პილოტებმა კატაპულტირება





მარნეულის მიГ-17П-ები 1961 წელს გადაღებულ საბჭოთა მმართველეთან მხატვრულ ფილმ *Ночь без милосердия*-შიც მონაწილეობდნენ. ფილმის დიდი ნაწილი აეროდრომის ტერიტორიაზე გადაიღეს და გამანადგურებლებს ინგლისური წარწერები გაუკეთეს, რათა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების იმიტაცია შეექმნათ.



სამხედრო ხმაურით „ტკბებოდნენ“, ამიერიდან ერთმანეთიანი, მაგრამ არანაკლებ ხმაურიანი *Су-17М3* ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენების გრუხები უნდა მოესმინათ.

საბრძოლო თვითმფრინავების ტიპის შეცვლამ გამოიწვია პოლკის დანიშნულების ცვლილებაც და იგი გამანადგურებელ-ბომბდამშენ პოლკად გარდაიქმნა.

მწელი სათქმელია, რაში დასჭირდა მოსკოვს მარნეულის პოლკის ასეთი სახეცვლილება, რადგან იგი თავს კარგად ართმევდა სამხრეთ მიმართულების საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფას, თუმცა, ეს შეიძლება დაკავშირებული

აღსანიშნავიაა ავღანეთში ომის დაწყებამდე, სადაც საბჭოთა გენერლების რაც შეიძლება მეტი მთიერიმე ბომბდამშენი ტიპის თვითმფრინავები სჭირდებოდათ, ვიდრე გამანადგურებლები.

მარნეულის პოლკის მფრინავები როგორც ითვისებდნენ მათთვის ახალ საქმეს, — მიწაზე ბომბებითა და რაკეტებით სამხრეთისთვის საჰაერო დარტყმების მიყენებას, რადგან მანამდე, 20 წლის განმავლობაში, მოწინააღმდეგეს პაერში ეტებდნენ და საჰაერო ორთაბრძოლებისთვის უფრო იყვნენ მომზადებული.

1984 წლის შემოდგომაზე 34-ე საჰაერო არმიის სარდლობამ დიდ შიშს გამოიწვია 36-ე გამანადგურებელ-ბომბდამშენთა საუავაციო დივიზია, რომელშიც სამი (დიდი შირაქის, მარნეულისა და კურდამირის) საუავაციო პოლკი გაერთიანდა.

1985 წლის 18 სექტემბრიდან იწყება მარნეულის პოლკის ერთლიანი საბრძოლო მეთვინება ავღანეთში (მარნეულში დარჩნენ მხოლოდ ერთი, მე-3 ესკადრილის პილოტები, რომლებიც აგრძელებდნენ საბრძოლო მომზადებას).

მარნეულის პოლკის მფრინავებმა ავღანეთის სამი აეროდრომი — ბაგრაში, ყანდარი და შინდანი გამოიცივლეს, საიდანაც სარაკეტო-საბომბო დარტყმებს აყენებდნენ ავღანელი პარტიზანების პოზიციებს.

1986 წლის 19 მაისს ავღანეთის ომში საინტერესო რამ მოხდა, — მარნეულის პოლკის მფრინავები ავღანეთი-პაკისტანის საზღვრის ახლოს მიწაზე სამიზნეს ბომბებითა და რაკეტებით „ამუშა-

**მარნეულის პოლკი Су-17М3-ებით ერთი წელი ავღანეთში იბრძოდა**



## მარნეულის აეროდრომი დღეს ქართული სამხედრო ავიაციის ძირითადი საპარკო ბაზაა



მარნეულის პოლკის დაახლოებით 30 Cy-15TM ტიპის თვითმფრინავი ქართულ არმიას დარჩა.

ეს ერთადერთი საავიაციო პოლკი იყო, რომელმაც შეიარაღების ძირითადი ნაწილი ქართულ არმიას დაუტოვა, თუმცა, სამწუხაროდ, მისგან სარგებელი არ გვინახავს.

საერთოდ, Cy-15TM რთულ თვითმფრინავად ითვლება როგორც პილოტაჟის მხრივ, ისე მისი საბორტე შეიარაღების გამოყენების თვალსაზრისითაც. ამასთან, მარნეულიდან წასვლამდე რუსმა სამხედროებმა ეს ძვირად ღირებული საბრძოლო თვითმფრინავები მწკრივიდან გამოიყვანეს, გადაუჭრეს რადიოელექტრონიული აპარატურის სადენები.

აფხაზეთის ომში ნამდვილად გვეჭირებოდა გამანადგურებელი-გზაგადამჭრელები და ამ მიზნით ორი Cy-15TM მარნეულიდან თბილისის საავიაციო ქარხანაში ჩაყვანეს აღსადგინად. აფხაზეთის ომი ისე დასრულდა, რომ ეს თვითმფრინავები პაერში არ აფრენილან. მათი მწკრივში ჩაყვება ვერც შემდგომ წლებში მოხერხდა. ერთი გამანადგურებელი შემდგომ აულაბარში, საავიაციო ინსტიტუტის ეზოში იდგა როგორც საინჟინერო-ტექნიკური, თუმცა, მგონი,

ისიც დაჭრეს. მარნეულში დარჩენილ თვითმფრინავებს კი მოსახლეობამ წელ-წელა ბოლი მოუღო, ხოლო სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ე. წ. კომერსანტებმა მათი ჯარაში ჩაბარებით კარგად იხიერეს.

1988 წლის 7 დეკემბერს დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ მარნეულის აეროდრომი სიმშენისთვის, კერძოდ, სპი-ტაკისთვის განკუთვნილი ტერიტორიით სახეე მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებს იღებდა. ათიოდე წლის წინ NATO-ს წვერი თერქეთის დახმარებით მარნეულის აეროდრომის რეკონსტრუქცია ჩატარდა და ნაუავიაციის შედარებით თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა.

2008 წლის ავგისტოს ომის დროს მარნეულის აეროდრომი რუსეთის ავიაციამ სამჯერ დაბომბა, რადგან აეროდრომს არ აცვავდა საზენიტო საშუალებები, რაც იმდროინდელი გაერთიანებული შტაბის დიდი შეცდომა იყო.

დღეს მარნეულის აეროდრომი ისევ ქართული სამხედრო ავიაციის Cy-25-ტიპის მოიერიშე და L-39 ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავების მთავარი ბაზაა.

ირაკლი ალალაშვილი



# ფუტლარი პოსტოლუბისთვის

ცოტა ხნის წინ ქართულ ტელე-არხებზე გაიელვა კადრებმა, სადაც საქართველოს ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლ იარაღს ისროდა.

ვიდეოფორში კარგად ჩანდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი სპეციალური ოპერაციების ცენტრის, შუგაბადაის ბაზის სასროლეთზე ისროდა, სადაც „არსენალს“ ამ რუბრიკისთვის არაერთი იარაღი გამოვიცედა.

ჩვენი მკითხველების ინტერესი გამოიწვია იმ უცნაური ფორმის იარაღმა, რომელიც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ჰგუდა, თუმცა, არც ერთ ცნობად პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს არ წარმოადგენდა.

სინამდვილეში ეს იარაღი არ იყო, უფრო სწორად, ჩვეულებრივი პისტოლეტი ჩასმული იყო სპეციალურ ფუტლარში და ისე ისროდა შინაგან საქმეთა მინისტრი.

რა საჭიროა კომპაქტური პისტოლეტის ჩასმა ასეთ ფუტლარში, რომელიც მას წინასაც და გაბარებებსაც მატებს? როგორც ჩანს, CAA TACTICAL-ის ფორმის მქსეურები ასე არ თვლიან და ისინი RONI-SI-ს ტიპის ფუტლარების მრავალსახეობას სერიულად აწარმო-

ებენ, რომლებიც პისტოლეტებს ერთგვარ კარაბინებად გადაქცევენ.

ეს ფუტლარები გამძლე პოლიმერული მასალისგანაა დამზადებული. ფუტლარის მარცხენა მხარე იხსნება და მასში პისტოლეტი მაგრდება.

ფუტლარს აქვს ტელესკოპურად რეგულირებადი კონდახი, წინა ხელის მოსაკედი, დამატებითი მჭიდის დასამაგრებელი და, რა თქმა უნდა, „აკაკატინის“ ტიპის მიმართელები, რომლებზეც ყველა სახის თანამედროვე ოპტიკური დასამიზნებელი მოწყობილობის, ლაზერის მიზანშეწონიერების თუ ფარანის დამაგრება შეიძლება.

ამ ყველა მანიაპულაციის შემდეგ სროლის მანძილი, რა თქმა უნდა, არ იზრდება, თუმცა, უკეთესი ხდება ცეცხლის მართვა.

ეს განსაკუთრებით იმ სპეცრაზმელებისთვისაა მოსახერხებელი, რომლებსაც ოპერაციის ჩატარება სახლის დერეფნებსა და თიახებში უწყევთ ამ დროს ფუტლარში ჩასმული პისტოლეტი სამი წერტილითაა (ორი ხელით და მხარზე მიბჯენილი კონდახით) დაფიქსირებული, რაც ბევრად მოსახერხებელია, თუგინდ ორივე ხელით დაჭერილი პისტოლეტი. ამასთან, RONI-SI-ს მოწყობილობა უზრუნველყოფს დამა-



პისტოლეტის ჩადებას RONI-SI-ს ფუტლარში რამდენიმე წამი თუ სჭირდება

ტებით აქსესუარებით (წინა ხელის მოსაკიდი, ფირანი, ლაზერული მიზან-მიმნიშვნელი, ოპტიკური სამიზნე და ღამის ხედვის მიწყობილი) აღჭურვა-ვას, რომელთა მთელი სპექტრის დაყე-ნება მარტო პისტოლეტზე წარმოუდ-გენელია.

კომპანიის წარმომადგენლებმა იზ-რუნეს, რომ სხვადასხვა ფირმის პის-ტოლეტების მოყვარულებიდან არაუც-ნაძრეოდ აღიარებული და ამი-ტომ RONI-SI-ს სხვადასხვა მოდიფი-კაცია დაამზადეს „ზიგ-ზაუერისთვის“, „გლოკისთვის“, „ბერეტასთვის“, „აი-ერიქსისთვის“, „ბულ ჩეროკისთვის“, „ჩეხისთვის“ და ა.შ.

ეს ფუტლარები ფორმით თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, კონსტრუქციული ცვლილება მხო-ლოდ ფუტლარის შიდა ნაწილმა გა-ნიცადა, რათა სხვადასხვა ფირმისა და



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვეინაბადის სასროლოთზე RONI-SI-ს ფუტლარში ჩადებულ SIG-Sauer P226-ს ისროდა

ცეცხლმკრობი, რომელიც ამცირებს გასროლისას წარმოქმნილი ცეცხლის ალის ხილვით.

RONI-SI-ს ფუტლარში ავტომა-ტური პისტოლეტის, მაგა-ლითაღ, GLOCK-18-ის ჩაყენებისა

და მასში 31-გაზნაიანი მჭიდის მოთავსე-ბის შემთხვევაში (მეორე ასეთზე სათა-ღარიგო გრძელი მჭიდი კონდახის ქვეშ მაგრდება) ეს „დუეტი“ ნამდვილ პის-ტოლეტ-ტყვიამთქვევად გადაქცევა.

RONI-SI-ს ფუტლარი, რომელიც SIG-Sauer P226-ისთვისაა განკუთ-ვნილი, 420 ვერობდე დირს, ხოლო მოდერნიზებული ფუტლარების ფასი 1.000 ევრომდე აღის.

**ირაკლი პალერაშვილი**



შესაბა-მისად, ფორ-მის პისტოლეტი კარგად „ჩაჯდება“ ფუტლარში.

ძალზე საინტერესოაა გადაწყვე-ტილი ფუტლარის შიგნით მოთავსე-ბული პისტოლეტის გადატენის მე-ქანიზმი. ფუტლარის ორივე მხარეს დატანებულია პატარა ბერეტეტები, რომელთა უკან გამწოწვისას პისტოლე-ტის საკეტი უკან გადაიწევა.

გასროლისას პილზების ექსტრაქ-ციისთვის ფუტლარის მარჯვენა მხა-რეს დატანებულია დიდი ფანჯარა, რომლის საშუალებითაც პილზები უკ-რობლემოდ გადმოიყვება ფუტლარის გარეთ.

ფუტლარში წინა მხარეს დამონტა-ჟებულია მილი, რომელზეც ებჯინება პისტოლეტის ლულა. გასროლისას ლულიდან გამოსული ტყვია ამ მილის გველით ფუტლარის წინა მხრიდან გა-მიდის, სადაც დაყენებულია ერთგვარი

პისტოლეტ SIG-Sauer P226-ისთვის განკუთვნილი RONI-SI-ს ფუტლარი 1400 გ-ს იწონის და მისი სიგრძე ბოლომდე გაშლილი ტყ-ლესკოპური კონდახით 56 სმ-ს აღწევს, ბოლომდე დაკე-ტილიც კი მხოლოდ 47 სმ-ია.





საგარეო ურთიერთობების სამსახური

ISSN 1987-5061  
9 771928 915630

ბ113/39



P226+RONI-SI

